ეროვნული
ბიბლიოთეკა

645
959 / 3



645/2

26

# საბჭოთა ქალი

№ 1 იანვარი 1959 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დინჯად შემოდის,
როგორც დიდება
წელი ახალი!



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნომერშია

ნარკვევი პიონერთა სასახლეზე

*

აი, რას მოგვითხრობენ ციფრები

*

ასეა ყოველთვის

*

მოთხრობა—«გვიანღაა»...

*

აბა, რა გითხრა!

ფოტორეპორტაჟი თბილისის აბრეშუმის კომბინატზე

*

«სალხინობლის ველი»

*

ჰორიამა კეი—ლექსი

*

ნაზი თარგამაძე—ლექსები

*

საინტერესო თემაზე

*

იურიდიული კონსულტაცია

*

კულინარია

თამრიკო მქვია, პატარა ვარ, ორნახევარი წლის. ჩემთვისაც მოვიდა ახალი წელი—ტკბილეულით, ნაძვის ხით, საჩუქრებით. პირველად დედას მივულოცე. თქვენთვისაც მომილოცავს!

ფოტო დ. იაკობაშვილის.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი

იანვარი № 1 1959 წელი

საბჭოთა ქალი

გამოცემის მესამე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიხარულისა და ბედნიერების სამყაროში

შეირხა ხე სარკმლის წინ. შეიფრთხიალა ქვაფენილიდან აფრენილმა ბეღურების გუნდმა...

თვალი გააყოლა ჩიტებს თამრიკომ, გააყოლა და ინატრა: ჩიტად ვიქცეოდეო, ნეტავ. წუთით, თვალს მაინც მოვკრავდი საზეიმოდ მორთულ დარბაზებს...

ეტლების ქარავანი კი დაუსრულებელ ნაკადად მიემართებოდა სასახლისაკენ. მიიჩქაროდნენ დიდგვაროვანნი მთავარმართებლის საახალწლო მეჯლისზე.

მიეჩქაროდა გოგონასაც სახლისაკენ. არა, სტუმრები არ ელოდნენ მას, არც კოპწიად მორთული ნაძვის ხე, არც ნაირნაირი ნუგბარით გაწყობილი საახალწლო მაგიდა. დედა ელოდა, ტკბილი, მოსიყვარულე, მთელი დღის შრომით დაქანცული ხელების ნაზი ალერსი.

მიეჩქაროდა თამრიკოს დედისაკენ და მაინც ვერ ცილდებოდა გაჩირაღდნებულ სასახლეს. ეპატიჟებოდნენ, თავისკენ უხმობდნენ ფანჯრებში მოციმციმე სხივთა ათინათები...

სასახლე კი იდგა ჟანდარმებით გარშემორტყმული, ქაჯების მიერ დატყვევებულ ზღაპრულ მზეთუნახავივით.

სტუმარი მაინც ეწვია ახალწლის ღამეს თამრიკოს. კეთილმა თოვლის ბაბუამ ჯერ საჩუქრებით გაახარა გოგონა. მერე კი თავის სასახლეში წაიყვანა, განა მარტო თამრიკო? მიშიკოც, ქეთინოც, მერაბიც, მთელი ღამე მხიარულ ფერხულს უვლიდნენ ბავშვები აშოლტილ ნაძვის ხის გარშემო ციყვთან, კურდღელთან და ეშმაკ მელიასთან ერთად...

დედას კი უკვირდა: რა აცინებსო ასე ტკბილად გოგონას, რატომ ბორგავსო, ნეტავ, ძილში!..

* * *

დედას არ აცლის, აჩქარებს, ჰგონია თვითონ უფრო მალე გაიხდის, მაგრამ ღელავს და ხელი არ ემორჩილება.

ცოტა მოშორებით კი, სვეტზე გაკრულ განცხადებასთან, ბავშვებს მოუყრიათ თავი.

«დღეს სპსახლეში სტუმრად არიან, ვინ?— საიდუმლოა!»—კითხულობს ერთერთი მათგანი ხმამაღლა და უკვირს: ნეტა, ვინ უნდა იყვნენო სტუმრები?

აჩიკო კი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით იხედება მათკენ. ეღიმება ბიჭუნას, მისთვის არ არის საიდუმლო ვინც იქნებიან დღეს ლიტერატურული კაბინეტის წევრების სტუმრები.

მიხტის აჩიკო კიბეებზე, მიხტის და თან გულს ბაგა-ბუგი გააქვს. იცით, ვინ მოუსმენს მას?—პეტრე ამირანაშვილი, მერი დავითაშვილი. თენგიზ მუშკუდიანი, ნოდარ ანდღულაძე. მედეა ამირანაშვილი. და კიდევ ვინ იცის, რამდენი სახელგანთქმული მომღერალი და მუსიკოსი.

დარბაზში კი დიდი მზადებაა. რა ხანია მოსულან დეიდა ფაცია, დეიდა ნინოც, მოსულან და ახლა სტუმრების გამოჩენას მოუთმენლად მოელიან.

და აი, თითქოს ყველაფერი რიგზეა, შეიძლება შეხვედრის დაწყება...

... სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ლიანა კობიძე და იოსებ ჩომახიძე, ვიოლეტა ღლონტი და გურამ გოგიშვილი, ნათელა ფოფხაძე და ლალი შარაშენიძე. კითხულობენ მოხსენებებს, ნარკვევებს, ლექსებს...

ახარებთ სტუმრებს მათი ცოდნა. მშობლიური მუსიკისადმი ინტერესი. სიყვარულით გამთბარი სტრიქონები.

ტკბილად ღელავდა აჩიკო ფავლენიშვილი. მისი სიმღერა ძალიან მოეწონა ყველას, განსაკუთრებით კი დეიდა მერის, ამ სიმღერის ავტორს. არც ტარიელ შოთაძესა და მანანა გაგოშიძეს დაკლებიათ გულს, ყველას ერგო სტუმრების ალერსი.

მთავრდება შეხვედრა ქართველ პოეტთა ლექსებზე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორებთან და შემსრულებლებთან. პიონერების სიყვარული აცილებს სტუმრებს, დიდხანს დარჩება მეხსიერებაში ეს საინტერესო შეხვედრა.

მუშაობაში, კამათში, საუბრებში დაიხვეწება მეტყველება, გაიწაფება კალამი.. შეუმჩნევლად გაივლის წლები და თამამად შეაბიჯებს ფართო ცხოვრების გზაზე პატარა, ცელქი აჩიკო...

* * *

ბევრჯერ იფიქრა დაღლილმა თავს დავანებებო ამ საქმეს, მაგრამ ფიქრმა არ დაანება თავი. ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე უტრიალებდა გულში და სანამ სხვებიც არ დაარწმუნა, არ მოეშვა.

დღეს კი საიდან არ წერენ ცეცილია ელიგულაშვილს—კურსკიდან, ვლადივოსტოკიდან, ბათუმიდან, თხოვენ გამოცდილების გაზიარებას, საოჯახო კაბინეტის სამუშაო გეგმების გაგზავნას.

აქ კი, ოთახებში წინსაფარაფარებული, კოხტად თავწაკრული გოგონები დაფუსფუსებენ. ფცქვნიან კარტოფილს, ჭარხალს, სტაფილოს. ამზადებენ ნაირ-ნაირ კერძებს.

... ყველას უნდა გაიმარჯვოს კონკურსში— გულიკოს,, ელზას, ეთერის, ნელის და ელიან კონკურსის „ჟიურის" გადაწყვეტილებას. მაგრამ როცა ცეცილია ელიგულაშვილი და ნადია ჩიქოვანი პირველობას ცირა ხაჭაპურიძეს აკუთვნებენ, ბავშვებიც ეთანხმებიან. ყველას მოსწონს გვერდზე გადახრილი, მწვანეში ჩაფლული სოკო, პატარა დაწინწკლული წითელქუდა შვილით გვერდზე. რა არ ისწავლა ცირამ მზრუნველი აღმზრდელებისაგან ორი წლის განმავლობაში. ის ხომ პირველთაგანი მოვიდა აქ. ამას წინათ, სტუმრები რომ ეწვივნენ ხაჭაპურიძეებს, თავისი გამომცხვარი შაქარლამით გაუმასპინძლდა მათ ცირა.

განა მარტო საჭმელების კეთებას სწავლობენ აქ, ამ კედლებში?

... საიდან შემოვიდა კარტოფილი, როგორ იჭერენ ცხელ ქვეყნებში მაიმუნებს გოგრით, რატომ იყო წინათ ოხრახუში მწუხარების სიმბოლო, ნიახური კი სიხარულის... როგორ უნდა გააწყო სუფრა, დაიბანო ხელები, გაანიავო ოთახი. ლამაზად ამოკერო გახეული წინდა...

ნეტავ თუ რამე შეედრება იმ დიდ სიხარულს. სტუმრების დასახვედრად ფაცი-ფუცში გართული პატარა დიასახლისები რომ განიცდიან. სტუმრები კი ისეთები ჰყავთ ხოლმე, თვით გამოცდილ დიასახლისსაც კი შეაფიქრიანებს მათი დახვედრა. პატარა ხელების ნახელავი კი ყველას მოსწონს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ლემეშევს, პოლონეთის მთავრობის დელეგაციას თუ თბილისის შაქარლამების გამოცდილ მცხობლებს.

* * *

— ახლა კი არ შეცივდება შენს დედოფალას, ჩემო ნანული, თორემ აბა სირცხვილი არ იყო, ამ შუა ზამთარში ტიტლიკანას რომ დაასეირნებდი?—შეატრიალა ხელში ნინო ყანდარელმა, საოჯახო კაბინეტის ქარგვის წრის ხელმძღვანელმა, ნანული ტურიაშვილის დედოფალა, რომელსაც ახალთახალი, ჯერ ისევ დაუმთავრებელი ჭრელი ჩითის კაბა ეცვა,— ოღონდ ყელთან უფრო წმინდად ამოუხვიე...

...ჯერ სხვებსაც მიუბრუნდა. 9 წლის ლარისას ნემსი გაუსწორა ხელში. ვალია ახალაძეს კი საკერავი გამოართვა და ერთხანს მონდომებით აუხსნა ჯაჭვური ქარგულობის წესი.

აქ ყოველთვის სიწყნარეა. მუშაობაში გართულები ვერც ამჩნევენ როგორ გადის წუთები. უკვირთ და არ უნდათ თავიანთი პატარა სახელოსნოს დატოვება და მაინც უსიტყვოდ დგებიან. იციან, გაბრაზებაც იცის კეთილმა დეიდა ნინომ. სახლში გაკვეთილები აქვთ დასამზადებელი. ზარმაცები და ოროსნები კი არ უყვარს მასწავლებელს.

მათ ნაცვლად სხვები მოდიან. ახლა მათ ხვდება კეთილი ღიმილით ნინო ყანდარელი. გაიხარებს ლუბა გოლოშაპოვას შეკერილი კაბის დანახვაზე, ლიუდმილა გონჩაროვასაც ახალ საქარგავს ამოურჩევს...

აქ ყოველთვის სიწყნარეა. მუშაობაში არიან გართულნი პატარა ოსტატები.

* * *

ერთხანს ყოყმანობდა, ეძნელებოდა სცენის დატოვება. სადაც ოცმა წელმა ოც დღესავით ჩქარა გაიარა. ახლა კი ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია მარიამ აბრამიშვილს ამ პატარების გარეშე. მუდამ გარს რომ ახვევიან.

ერთი რამ მაინც ტკენს გულს ამ ახალგაზრდული ენერგიით სავსე ქალს...

მოვა პატარა. დააწყებინებ თოჯინების ტარებას. ასწავლი ამ რთულ ხელოვნებას და როცა დაოსტატდება, სწორედ მაშინ გამოგეცლება ხელიდან, გაგიფრინდება.

გულს ტკენს აღმზრდელს გაზრდილებთან განშორება, ხელახლა დაწყებაც არაა ადვილი, მაგრამ მგონი სწორედ ეს იზიდავს თავის მუშაობაში ამ დაუღალავ ადამიანს.

მატვეევის „ჯადოსნური კალოშით“ დაიწყო თავისი არსებობა სასახლის თოჯინების თეატრმა თვრამეტი წლის წინათ. მას შემდეგ რითი არ გაახარა მაყურებლები: «ნაცარქექია“, «არსენას ლექსი“, „ქოჩორა», «ბაქია ბაჭია», „მამლაყინწას თავგადასავალი“.

იცვლებიან თაობები, თეატრი კი კვლავ აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას.

* * *

დერეფნის ბოლოს, ისტორიული ბაღის შესასვლელთან, დგას სიცოცხლით სავსე პიონერი გოგონა, სახეზე გადაშლილი ბედნიერი ღიმილით.

ამ ქანდაკების ავტორი ჯემალ ჯაფარიძე, წელს რომ სამხატვრო აკადემიას ამთავრებს, ოდესღაც ქანდაკებისა და ფერწერის კაბინეტის ხშირი სტუმარი იყო.

— ახლა უკეთესებიც გვყავნან,—გვიღიმის წრის ხელმძღვანელი, როდესაც ჯემალს ვახსენებთ და დაუფარავი სიამაყით მიგვითითებს ათი წლის ირაკლი რევაზიშვილის ნამუშევარზე.

ნამდვილი შემოქმედებითი წვა იგრძნობა ამ ოთახში. ყაბახის მოჯირითის კვეთაში გართულ გია ჯაფარიძეს ისე წაადგებით თავს, ვერც შეგამჩნევთ, არც ბალერინას მოძრაობის გადმოცემით გართული ეკა ბოკუჩავა მოგაქცევთ დიდ ყურადღებას. სულით და გულით ეძლევიან ისინი საყვარელ საქმეს და შედეგიც ამი-

ფოტო პ. ფილოსიანის

...რომაა ასეთი კარგი—თაროები ავსებულია ...ჩარი ცხვედაძის, ჟანანა მირიანაშვილის, ავთანდილ ანთიძის, ნიკო შარაბიძის ნამუშევრებით.

* * *

გაიელვა მაშხალამ. წუთიც და «კოსმოსში პირველი მოგზაურობის» მონაწილის, ამირან ჩხეიძის ხმაც გაისმის:

— ყურადღება, ყურადღება, ვიწყებთ რეპორტაჟს პიონერთა სასახლეში მყოფ მეგობრებისა და ამხანაგებისათვის...

ვიმყოფებით რაკეტის შიგნით, მიმდინარეობს უკანასკნელი სამზადისი აფრენისათვის. აფრენამდე რჩება რამდენიმე წუთი...

ნამდვილად ღელავენ შეკრების მონაწილენი ავიწყდებათ. რომ კოსმოსში მოგზაურობა მხოლოდ წარმოსახვითია. ავიწყდებათ, რომ ამირანი რაკეტიდან კი არა, სასახლის რადიოკაბინეტიდან აწარმოებს თავის რეპორტაჟს.

მათ უკან მდგომი ქალი კი იმ დღეზე ოცნებობს. როცა რომელიმე მათგანი ნამდვილად მიიღებს მონაწილეობას კოსმოსურ მოგზაურობებში. მაგრამ ოცნებისათვის დიდხანს ვერ იცლის ტრანსპორტის კაბინეტის გამგე ქეთო გიორგაძე. ცოტა ხნის შემდეგ ნორჩ რკინიგზელებს ეხმარება პატარა, მაგრამ ნამდვილი ელმავლის გაკეთებაში, კაბინეტის კედლების გასწვრივ რკინიგზის ლიანდაგის დაგებაში.

* * *

რედაქციის კარი ორმა მოსწავლემ შეაღო მობრძანდითო,—შეიპატიჟა ისინი გაზეთის ლიტმუშაკმა.

რომ გაიგეს, ხვალ გამოვა გაზეთის ახალი ნომერიო, ბოდიში მოიხადეს და წავიდნენ.

მოუთმენლად მოელიან «გაზაფხულის» ყოველ ახალ ნომერს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სკოლები...

თუ დააგვიანდება, თვითონ მიაკითხავენ...

რა ამბავი არ მიაქვს მათთვის გაზეთს.

რომ თბილისის პიონერთა სასახლის ხელმარჯვეთა წრეში აღზრდილი მზია ლოლიშვილის ქართული ეროვნული მუსიკალური საკრავების მოდელებმა ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს...

რომ მესამეკლასელი დათიკო ასტახიშვილის ფანქრით შესრულებული ოცდაათი ნამუშევარი გადაარჩიეს ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი სამხრეთ ამერიკაში ბავშვთა შემოქმედების მსოფლიო გამოფენაზე გასაგზავნად...

რომ სასახლის 59 კაბინეტ-ლაბორატორიაში თერთმეტ ენაზე სწარმოებს მეცადინეობა...

რომ პირველად თბილისის პიონერთა სასახლეში ამუშავდა ბავშვების მიერ გაკეთებული უკაშხალო ელექტროსადგური...

ერთი, ორი, სამი,.. ითვლის დღეებს პატარა თამრიკო.

ეჩქარება გოგონას ახალი წლის მოსვლა. ფიფქმა უკვე გადასცა მას თოვლის ბაბუას მიპატიჟება საახალწლო ნაძვის ხეზე.

მოუთმენლად მოელიან გოგონას კაჭკაჭები და ციყვები, ნაცარქექია და ბაქია ბაჭია ბურდღუნა დათუნა და ეშმაკი მელა...

იცურავებს სასრიალო მთაზე თამრიკო, კარუსელზეც იტრიალებს, ახალ წარმოდგენასაც ნახავს... შემდეგ კი მხიარულ ფერხულს ჩააბამს მეგობრებთან ერთად ნაძვის ხის გარშემო, იმ სასახლეში, ქანდარმებით გარშემორტყმული დატყვევებულ ზღაპრულ მზეთუნახავად რომ ეჩვენებოდა ბებია თამროს...

**ნათელა გამყრელიძე.**











ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, რას მოგვითხრობენ ციფრები

**საქართველოს სს რესპუბლიკაში შემდგომ განვითარდება ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ჩაისა და ციტრუსების წარმოება, მებაღეობა და მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, აგრეთვე კვების მრეწველობის სხვა დარგები.**

**სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების მოცულობა შეადგენს 16,8 მილიარდ მანეთს. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია შვიდწლედში გაიზრდება თითქმის 75 პროცენტით.**

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე).



1

ზოგჯერ ისინიც ლაპარაკობენ,—ციფრები, ყვებიან. რასაც გვპირდებიან—გიგანტებზე, ელსადგურებზე, ფოლადის ღვარზე, აბრეშუმის ძაფებზე, მოსამკელ ყანებსა და დასაწურ ყურძნებზე.

ყვებიან როგორ გაივლის წლები—ხუთი, ექვსი და შემდეგ გაივლის მეშვიდეც.

შვიდი წლის შემდეგ ქვეყანას ექნება 65-70 მილიონი ტონა თუჯი, 85-91 მილიონი ტონა ფოლადი, 66-70 მილიონი ტონა ნავთობი. ეს ნიშნავს, რომ აკვამლდება ახალი ქარხნის მილები, დამზადდება ახალი ტურბინები, გვექნება ახალი მანქანები და შენ, მეტალურგიული ქარხნის მუშას, გექნება დიდი სიხარული (სურ. № 1).

წიგნები თაროებზე, მაღაზიებში, ოჯახებში, წიგნები მაგიდებზე, მოსწავლის ჩანთებში, ყველგან, სადაც ადამიანია. 1965 წლისათვის ერთ მილიარდ ექვსას მილიონ ცალამდე გაიზრდება მათი ტირაჟი (სურ. № 2).



2

და მიადგება მანქანები სახლებს, იქ, სადაც ახლა გეგმავენ, საძირკველს უყრიან, აგებენ, მოვლენ ოჯახები, განათდება თხუთმეტი მილიონი ბინის ფანჯარა ქალაქად, სადღა იქნება სიჩუმე სოფლის შუკებში—შვიდი მილიონი საცხოვრებელი სახლი ჩამოდგება გზის პირას.

78.000 ჰექტარი—მარტო ბაღებისა და ვენახებისათვის. ხეებს დაამძიმებენ ტოტები, მიწას—ხეები. მილიონობით კილოგრამი ციტრუსი, ვაშლი და ყურძენი ახალ შვიდწლედში! (სურ. 3).

შეიძლება ისიც იფიქრონ, რომ თუ ღამე დღედ იქცევა, თუ სულ არ დაიძინებენ თვალები, მაშინ დაიკეცება 7800—8800 მილიონი მეტრი ბამბისა და 500 მილიონი მეტრი შალის ქსოვილი, შეიკერება 515 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი.

მაგრამ ღამე კვლავ ღამედ დარჩება, ადამიანები დაისვენებენ მოკლევადიანი სამუშაო დღის შემდეგაც და მაინც უხვად იქნება შალეული, აბრეშუმი, ფეხსაცმელი (სურ. № 4).

სკოლა-ინტერნატები 2 მილიონ ხუთასი ათასი ბავშვისათვის, საბავშვო ბაღები—200 ათასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



3



4

ბავშვისათვის, აი, რა გვექნება შვიდწლედში ჩვენი შვილების აღსაზრდელად, მათი ჯანმრთელობისა და ბედნიერებისათვის (სურ. № 5).

პატარების ხელები გამოჭრიან, პატარების ხელები გარანდავენ, შემდეგ გახდებიან დიდები და კიდეც გაეღიმებათ თავიანთ ნაცოდვილარზე. მაგრამ ექნებათ მერხიდან წამოყოლილი შრომის ჩვევები, სურვილი საზოგადოების მატერიალური დოვლათის შექმნისათვის (სურ. № 6).

მომავალ შვიდწლედში გათვალისწინებულია გაზის მოპოვების 150 მილიონ კუბურ მეტრამდე აყვანა, რის შედეგადაც გაზიფიცირებული იქნება თბილისისა და რუსთავის მრეწველობა, ამ ქალაქების მცხოვრებნი გაზს მიიღებენ საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.



5

ეროვნული ბიბლიოთეკა



7



8



6

ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილის

კიდევ უფრო გაიზრდება სარეცხი მანქანების, ელექტროიატაკმწმენდების, მტვერ რუტების, ელექტროუთოების, მაცივრების გაყიდვა.

მაშინ დაეზოგებათ შრომა ოჯახის დედებს, დიასახლისებს, მუშებს. სულ ცოტაც და მზად იქნება სადილი (სურ. № 7). სულ ცოტაც და დალაგდება ოთახი, ირეცხება გასარეცხი (სურ. № 8).

მერე დაისვენონ, მერე გაერთონ, წიგნი წაიკითხონ...

ამას ჰყვებიან ციფრები და კიდევ უმატებენ, რომ ყველაფერი ეს იქნება არა წლების მიღმა, არამედ შვიდწლედში. როცა შეიძლება შვიდჯერ მოვიდეს მოსავალი, შვიდჯერ იზეიმონ დაბადების დღე, შვიდჯერ გაიღოს სკოლის კარები და გამოუშვან აღსაზრდელები. შვიდჯერ გაივლის ზამთარი და მოვა მეშვიდე გაზაფხული—ყველაზე ბედნიერი გაზაფხული.

ლია კაკაბაძე.

# ასეა ყოველთვის

ცაზე მიმოფანტულ თხელ ღრუბლებს როცა მტრედისფერი გადაეკვრება, ეთერი ფრთხილად დგება საწოლიდან, შუქს ანთებს და ბავშვების საწოლთან შედგება.

ასეა ყოველ გარიჟრაჟზე, როცა ეთერი სამსახურში წასასვლელად ემზადება. რატომღაც ამ დროს უფრო მეტხანს უნდა შვილებთან ყოფნა, მაგრამ იქითაც მიეჩქარება, სადაც ადამიანები და საქმეები მოელიან.

სამუშაო ხალათში გამოწყობილს, საამქროში ღიმილით ეგებებიან. ხან ერთ დაზგასთან შეჩერდება და ყურს მიუგდებს, ხან მეორესთან, და რაკი დარწმუნდება, რომ ყველაფერი რიგზეა, სახეზე კმაყოფილება ეხატება.

ახალგაზრდა, შავგვრემან მუშასთან ჩერდება, რომელსაც სახელოები დაუკაპიწებია და ჩაის სასხლავ აპარატს ჩაჰკირკიტებს. ის ეთერისაკენ მობრუნდება...

— განაგრძე, განაგრძე, — მეგობრულად ხელს ადებს მხარზე, — ხომ არაფერი გიჭირს?

ასეა ყოველთვის.

ალბათ, ის დღეები აგონდება, როცა თვითონაც პირველად შეაღო ქარხნის კარები...

12 წლის წინათ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ეთერ ბარკალაია ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში მივიდა.

სანდომიანი სახის კაცმა თავაზიანად მიიღო, მოუსმინა, საბუთები გაუსინჯა და ალერსით უთხრა:

— სამუშაოზე უარს როგორ გეტყვით, მაგრამ დროებით, სანამ თქვენი სპეციალობისათვის შესაფერი ადგილი მოიძებნება, ტექნოლოგად დაგნიშნავთ.

ეთერი დათანხმდა, მაგრამ მაინც ღელავდა: ვაი, თუ გამიჭირდესო.

მცირე ხნის შემდეგ ტექნიკური უშიშროების უფროსად გადაიყვანეს, მერე ოსტატადაც მუშაობდა, რაციონალიზატორთა ბიუროს თავმჯდომარედაც, ხოლო, როცა ქარხანაში ამწყობი საამქროები გაერთიანდა, უფროსობა ეთერს მიანდვეს.

ჩაის სასხლავი და საკრეფი აპარატები, ტრაქტორზე მისამაგრებელი ჰიდრავლური ჩამოსაკიდი, სხვადასხვა დანადგარისათვის სიჩქარეთა ცვალებადობის მოწყობილობანი, — აი, ეთერ ბარკალაიას საამქროს ძირითადი პროდუქცია.

მის წინ ტანმორჩილი მუშა ჩერდება. ეტყობა რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ეუხერხულება. ეთერი ახლოს მიდის მასთან და მცირე ხნის შემდეგ ღიმილით შორდება.

ის საამქროს თვალია, პ. ხიმჩიანი, ამას წინათ ჩაის სპეციალური სასხლავი აპარატის სტენდი დაამზადა. წინათ პრიმიტიული წესით, უშუალოდ საზეინკლო დაზგაზე ხდებოდა აპარატის აწყობა და ამიტომაც უხარისხო გამოდიოდა, ამასთან დროსაც დიდს მოითხოვდა, სტენდი კი ააღვილებს დეტალების გაშლას, განლაგებას და სამუშაო დროც საგრძნობლად მცირდება.

1956 წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთერის ცხოვრებაში. იგი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

ამჟამად ჯგუფი, რომელშიც ეთერის გარდა საამქროს ზოგიერთი მოწინავე მუშაც შედის, ჩაის სასხლავი აპარატის კონსტრუქციის შეცვლაზე მუშაობს. მათი მიზანია, რომ თვით აპარატის დამზადება დაჯდეს გაცილებით იაფი, მისი მოწყობილობაც საგრძნობლად გამარტივდეს და სახელმწიფომ მიიღოს დიდი ეკონომია...

— ეს იქნება ჩვენი მცირედი საჩუქარი მშობლიური კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობისადმი — ამბობს ეთერი და ზღვისფერი თვალები უბრწყინავს...

შ. მარმარაშვილი.

ეთერ ბარკალაია (მარცხნივ) დაზგასთან.

ფოტო დ. იაკობაშვილის



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვიანღაა



გ. გვაძაბია

მხატვ. დ. ერისთავი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ამ მიდამოში თითქმის არაფერი შეცვლილა... თოვლისქუდიან იას და ენძელას მომხიბვლელი სიმწვანე მოყვება; მხოლოდ ის არსად ჩანს, ის, ვინც სწორედ ამ დროს, როცა მზე ოდნავ გადაიხრებოდა, ზურგიდან მომეპარებოდა და დამნაშავის ღიმილით მეკითხებოდა:

— დიდი ხანია მიცდი?

ალბათ, რამდენიმე წელიწადია რაც ამ მხარეს არ გამოუვლია. ან იქნებ დავიწყებასაც მისცა ის საღამო, პირველი სიტყვაც, რომლის გამხელა ძლივსღა მოვახერხეთ მოწიფულებმა...

მოშრიალე ფოთლები, მოწანწკარე წყარო, ყოველი ხე და ბუჩქი სიცილს მაყრის და მოგონებები ერთმანეთს ცვლიან.

* * *

წყნარი საღამოა. ჭირნახული მწიფდება. აგვისტოს ცხელი ქარების შემდეგ ფოთლებს სიყვითლე ეპარება, დგება ქარვისფერი ყურძნის დამაჭრების დრო; დედა, საყვარელი დედა, ჩემოდანში გაფაციცებით ალაგებს საჭირო ტანსაცმელს.

სასწავლებლად მივემგზავრები.

მაცილებენ ტოლები, მეგობრები, დედა ყველაზე მძიმე ტვირთს იტანება.

— ჩვენ წამოვიღებთ,—არ უთმობენ მეგობრები.

— ყველაზე მძიმე თქვენ რატომ უნდა წამოიღოთ, როცა ჩვენ აქა ვართ?

არავის ანებებს, რას იზამ, დედის გულის ამბავია... მივდივართ, ვსაუბრობთ, უცბად მოსახვევთან ის გამოჩნდება, შავთვალა ლია. მის მზერას პირველად მე ვიჭერ, ნაბიჯს ვუჩქარებ და უკან ვტოვებ დედას, რომელიც ქშინავს და თან ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ლოცვა-კურთხევით მავსებს.

ყველას ორიოდე სიტყვით ვაძლევ პასუხს, მხოლოდ მასთან დაუსრულებლად მინდა ვილაპარაკო.

— შენ იცი,—მითხრა,—წერილი ხშირად მოიწერე, უშენობას წერილი შეავსებს.

ვაიმედებ (განა საიმედო სიტყვები დამაკლდებოდა?!).

მატარებელი დაიძრა. ეძნელა განშორება—სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და ატირდა.

მალე შევეჩვიე ქალაქს. თანაკურსელებს შორისაც გამოვნახე მეგობრები და მეცადინეობაც ერთად დავიწყეთ. შინაარსიანად ვატარებდით დროს...

სადილზე დიდ დროს არ ვკარგავდით—მაგიდაზე სუფთა გაზეთს გავაფენდით და სუფრაც გაიშლებოდა. რატომღაც გემრიელი იყო გაზეთის ფურცლებზე დაყრილი პურის ნატეხები, სახელდახელოდ გარეცხილი მწვანილი და წვრილად დაჭრილი ძეხვი.

თავს ბედნიერად ვთვლიდი. ყველაფერი რიგზე მიდიოდა. რწმენით აღსავსე წერილებს ვუგზავნიდი დედას, დას, არც გულწრფელ სიყვარულს ვივიწყებდი...

იმ დღესაც ჩვეულებრივ შევიკრიბეთ თანაკურსელები.

— იცით, რა,—თქვა ერთმა.—ამ ყოფაში დავმჟავდებით, ფაკულტეტზე სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს, ჩვენ კი ვზივართ და თუთიყუშივით ერთმანეთის ნათქვამს ვიმეორებთ და ვიზეპირებთ.

— სწორია.—დავუდასტურე,—რაიონში ვცეკვავდი, რა იქნება აქაც ვცადო?

მოცეკვავეთა წრეში ჩავეწერე. მალე ისე გავიწაფე, რომ ჩემს ყოველ გამოჩენას ტაშით და მოწონების შეძახილებით ხვდებოდნენ.

იმ საღამოს მეორედ გამომიწვიეს. ოფლის ხვითქი გადამდიოდა. დოლმა უკანასკნელ წრესთან ხმას უმატა და ანაზდად მიწყდა. ელვისსისწრაფით კულისებში გავიჭერი და დაქანცული ბოძს მივეყრდენი. წუთი და ჩემი მეწყვილე, პირველკურსელი მანანაც გამოჩნდა, მოხდენილი ტანის გოგონა. ის იყო ხელი უნდა ჩამოერთმია და მოელოცა, რომ რაღაცას წამოკრა ფეხი და მთელი სხეულით ჩემსკენ გადმოქანდა. თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი—თვალები, სიცოცხლით აღსავსე თვალები მე მიმზერდნენ. დამფრთხალი შველივით უცემდა გული. სიამისმომგვრელმა გრძნობამ ჟრუანტელად დამიარა და მერე ცეცხლად მომედო.,.

არ მინდოდა მეფიქრა იმ საღამოზე, მაგრამ ვაი, რომ არ მეშვებოდა. არ მინდოდა, მაგრამ; გულს სწადდა მანანასთან შეხვედრა, მისი ოჯახის ხშირი სტუმარი გავხდი.

მეგონა ბოლომდე ერთგული დავრჩებოდი ლიასი, მაგრამ ვამბობდი ერთს, გული კი მეორეს აკეთებდა. უკვე მიძნელდებოდა ლიას წერილებზე პასუხის გაცემა, და ბოლოს სრულიად უმიზეზოდ აღმაშფოთებელი წერილი გავუგზავნე: «ვხედავ თვალი სხვისკენ გიჭირავს, ამიერიდან ჩემზე ნუ იფიქრებ».

გზა ხსნილი იყო. ახალმა სიყვარულმა სხვა მდინარება მისცა ჩემს ცხოვრებას.

— ახალი იტალიური ფილმი ნახე?—მეკითხებოდა მანანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უეჭველად უნდა გვენახა.

— ზეგ პრემიერაა!

გასაგებია, ჩემს ძალას აღემატება თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვიშოვო ბილეთი.

უსიტყვოდ ვასრულებ მის ყოველ სურვილს... ერთ დროს სწავლის მოწინავე, თანდათან ვეჩვევი ლექციების გაცდენას და ხუთიანების გვერდით ჩამწკრივებულ სამიანებს. წერილი, რომელსაც მშობლებს ვუგზავნი, ასე მთავრდება: «გაკოცებთ ურიცხვს, ველი ფულს». სახლიდან მიღებული ფული ხელდახელ უჩინარდება და უკვე მეორე დღეს იმდენი მანეთიც აღარ მრჩება, რამდენი ჯიბეცა მაქვს.

თავი დამავიწყა მანანამ. არ ვიცი, რატომ შემიყვარდა ასე მწარედ. ერთი წუთითაც ვერა ვძლებდი მის უნახავად. ისიც მეფერებოდა, მარიგებდა, მომავალი ცხოვრების გეგმებს მისახავდა, სხვანაირად არ შემეძლო, თუმცა ნაადრევად მეჩვენებოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე შემერთო იგი.

საღამოს ექვს საათზე დავტოვეთ ლექცია; რუსთაველის პროსპექტს გავყევით. უფრო მოხერხებულად რომ მეთქვა ჩემი გადაწყვეტილება, სანაპიროსკენ გავუხვიეთ.

— იცი რა, ჩემო კარგო,—დავარღვიე სიჩუმე,—გადავწყვიტე დაქორწინება.

— ჩემზე?

— რა თქმა უნდა.

— ა-ა. გასაგებია,—ნაძალადევად გაეღიმა.—რა საცოდავები ხართ ვაჟები. რა იჭვიანები! გვერდით მიმავალი საკუთარი ლანდიც გაშინებთ ხოლმე... მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მოვითმინოთ, დავამთავროთ და შემდეგაც მოვესწრებით..

იმ დღეს კინოში უნდა წავსულიყავით. რაღაც მოიმიზეზა. ადრე გაბრუნდა...

გადიოდა დღეები. ძველებურად როდი მხვდებოდა. რაღაც ცვლილებას ვამჩნევდი, უფრო გულჩათხრობილი გახდა.

ბოლოს სულ დავკარგე.

კარზე მივუკაკუნე.

— ჰაა. სწორედ შენთან მოვდიოდი,—ხელიც არ ჩამოურთმევია.

— რატომღაც დამივიწყე.

— გეჩვენება,—გამეპასუხა.

«იქნებ მართლა მეჩვენება?»—გავიფიქრე და თავი დავხარე.

— გავისეირნოთ;—მომიბრუნდა მანანა.

უსიტყვოდ დავეთანხმე.

მზე კარგა გადახრილიყო, ფუნიკულორის პლატოზე რომ ავედით.

— რა კარგი ყვავილია!—ანაზდად ყვავილნართან შედგა.

— რომელი?

— აი. ის.—მიმითითა.

ყვავილი მოვწყვიტე და მივაწოდე.

— ამხანაგო!—მომესმა. მივიხედე, ჩემს უკან მილიციელი იდგა.—ჯარიმას გადაიხდით!

შემრცხვა მანანამ წვრილმანობაში არ ჩამომართვას მეთქი და ჯიბიდან ფული ამოვიღე.

როცა მილიციელი წავიდა, მანანამ ხმამაღლა გაიცინა.

— კარგად ვიცხოვრებთ, ყოველ ვარდზე თხუთმეტი მანეთი თუ იხადე,—ვაიმე!—წამოიყვირა უეცრად.

— რა მოგივიდა?—შევშფოთდი.

— თავი ამტკივდა,—ხმას დაუწია.

— გაგივლის. არაფერია, სუფთა ჰაერზე ხარ.

— წავიდეთ!..

ჩაფიქრებული გავყევი. სახლამდე მივაცილე. გამოღებული ფანჯრიდან სიმღერა მომესმა. ვიღაც ახალგაზრდა მღეროდა.

—ზაური ჩამოსულა!—აღტაცებით წამოიძახა და ტაში შემოკრა.

— ზაური? ვინ არის შენი?

— ზაური?—დაიბნა.—ჰო... მამიდაშვილია.—მიპასუხა. საყელო გაისწორა და ნაბიჯი გადადგა.

— როდის შევხვდებით?

— ზეგ. იმ ჭადართან...

ღრუბლიანი დღე გათენდა. შეღამებისას წვიმა წამოვიდა. რა შემაკავებდა. მე მაწვიმდა, გულს ხომ არა! დანიშნულ დროს ჭადართან ვიცდიდი. ის არ ჩანდა. გავიწუწე, სიცივე ჩამეჭრა სხეულში. ნელი ნაბიჯით მისი სახლისკენ გავემართე... ავიხედე, ოთახები გაეჩირაღდნებინათ. ყური მივუგდე, ხმაური მომესმა. გარკვევით გავიგონე—სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ. ვის ადღეგრძელებდნენ? ქუჩის მეორე მხრიდან განვიზრახე შემეხედა ოთახის სიღრმეში. ის იყო ეზოს ჭიშკარს გავცდი და მისი ამხანაგიც შემოვეფეთა.

— შენა?—გაოცებით შემეკითხა.

— რა მოხდა?

— არა, ისე...

— რა მოხდა მეთქი!—ხმას ავუწიე და ხელი ისე მაგრად მოვუჭირე, რომ ძვლებმა ჭახჭახი დაუწყეს.

არ მოვეშვი, სანამ არ ვათქმევინე.

— ინიშნება...

მთელი ღამე უაზროდ ვიხეტიალე. ვერა და ვერ დავარწმუნე თავი, რომ მანანას შეეძლო მოვეტყუებინე, რომ მას მხოლოდ დროს გატარების მიზნით ვყავდი „გამორჩეული"... სულიერ შფოთში განვლო დღეებმა. მეც თანდათან შევურიგდი ბედს და სულ უფრო მეტი წარმტაცი სურათები გაცოცხლდნენ წარსულიდან.

* * *

„საახალწლოდ გელი»—მწერდა დედა. გადავწყვიტე წასვლა.

ღამის თორმეტ საათზე ჩავედი რაიონში. არცთუ ისე შორი მანძილი მქონდა გასავლელი. ფეხით ვარჩიე წასვლა. ციოდა. უჩვეულო სიხარულმა შემიპყრო. მოზღვავებული გრძნობა ვერ შევიკავე. იქ, მთის წვერზე გაჩირაღდნებული ფანჯრები ჩანდა, გულმა იქით გაიწია. ერთხანს ასე ვიდექი, შემდეგ საყელო ავიწიე და გზას გავყევი. [illegible]ციელი არ შემხვედრია, ნახევარი კილომეტრი ისე განვვლე.

«ალბათ, ისიც ახალ წელს ეგებება»—გავიფიქრე...

უეცრად მანქანის შუქმა იელვა და მთებს გადაევლო, ჯერ ყრუდ, შემდეგ გარკვევით მომესმა დაფა-ზურნის ხმა.

ერთ, ორი... ხუთი,—დავთვალე მსუბუქი ავტომანქანები. სად მიდიან? რაღაც დიდი ამბავია... და რა ვიცოდი, რომ ამ გზაზე სამუდამოდ ჩამიარა ბედის ვარსკვლავმა, რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად ესოდენ ღრმა სულიერი ჭრილობა მივაყენე და რომლის წინაშე მუხლმოდრეკილს პატიება უნდა მეთხოვა.

დავიგვიანე...





ნინო სეთურიძე

ზღვის დონიდან ორი ათას სამასი მეტრის სიმაღლეზე, იქ, სადაც მარად ნისლიანი მთებია, ფერდობებს შეუყვება საქონელი. გაზაფხული ამ მხარეში გვიან დგება და პირუტყვიც მხოლოდ მაისში გამოდის საძოვარზე. სხვა დროს კი სუსხიან დღეებში გუდაურის ფერმაში იზამთრებენ.

აქ მათი მომვლელი ნინო სეთურიძეა, დუშეთის რაიონის მლეთის კოლმეურნეობის მწველავი, ამ რამოდენიმე წლის წინათ რომ საქართველოს სსრ საუკეთესო მწველავის წოდება მიენიჭა.

ნინო სეთურიძემ გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. რვა თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 2.369 კილოგრამი რძე მიიღო. ახლა ახალი ვალდებულება იკისრა — თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა სამი ათას კილოგრამამდე გაზარდოს — პარტიის XXI ყრილობას სარეკორდო მაჩვენებლებით შეხვდეს.

ლ. ბურდული

# ხაჯერი

— აბა, ჰეი, ნახირი,— მზეს დაასწრებდა გაღვიძებას და მთელს სოფელში სიცოცხლეს შეიტანდა.

— არიქა, ხაჯერი მოდის,— ფაციფუცობდნენ სოფლის დედაკაცები და ჭიშკრისაკენ მიერეკებოდნენ ცურდაცდილ მეწველ ძროხებს.

ხაჯერსაც უხაროდა, ამოდენა ნახირს რომ გაირეკავდა წინ და, ამას გარდა, იცით, კიდევ რა ახარებდა?— თავისი სოფლელები ტკბილეულით და ალერსით რომ აავსებდნენ ხოლმე ყოველ დილა-საღამოს.

დაუზარელი იყო ხაჯერი, ყველასათვის თითით საჩვენებელი და საყვარელი. მზის ამოსვლამდე დედას შველოდა საქმეში. არ იცით განა, რამდენი საქმე აქვს სოფელში ოჯახს?

ხაჯერის აღტაცება უნდა გენახათ, რომ მიუჯდებოდა ძროხის სავსე ცურს და რძეს ქოთანში ჩხრიალს დააწყებინებდა.

— ნეტა ერთი ფერმის ძროხები დამაწველინა და ის დიდრონი კასრები ამავსებინა!— ხშირად უნატრია.

— ეგ რა დიდი საქმეა, რომ ვერ შეგისრულო?— გაეღიმა მეჯინისწყლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამის გაგონებაზე,— ძროხას რამდენსაც გინდა ჩაგაბარებ, ვნახოთ როგორ ისახელებ თავს.

და ისახელა. ხუთი წლის წინ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. ბევრი პრაქტიკული წინადადება წამოაყენა მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, რის საფუძველზეც განახორციელეს ზოგიერთ სამუშაოთა მექანიზაცია, გააუმჯობესეს ბაგური კვება და პირუტყვის მოვლა. მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობა. რაიონული გარდამავალი წითელი დროშა მიიღო და აგერ მეორე წელია მტკიცედ ინარჩუნებს მას.

— წინათ ძროხებს ძირითადად ჩალით კვებავდნენ. ზოგჯერ ქატოსა და კოპტონსაც უმატებდნენ. ასეთი კვება, რა თქმა უნდა, ბევრს ვერაფერს იძლეოდა. ყველაზე სასარგებლო საკვები საქონლისათვის სიმინდის სილოსია. 8—10 ტონა სილოსი წლიურად 25—30 პროცენტით ზრდის წველადობას, ადრე ძროხას სამჯერ ვწველიდით დღეში. გამოფენაზე შევიტყვე, რომ ორჯერ მოწველა უმჯობესია, რადგანაც ძროხა კარგად გრძნობს თავს და მეტსაც იძლევა,— აგიხსნით ხაჯერი.

არასოდეს დაავიწყდება ხაჯერ ბერიძეს 1955 წელი, 3400 კილოგრამამდე რძე მიიღო თვითეულ საფურაჟე ძროხიდან და რესპუბლიკის საუკეთესო მწველავის საპატიო სახელი მოიპოვა.

გასულ წელს იგი მეოთხედ გაემგზავრა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც ოქროს პატარა მედლითა და საკერავი მანქანით დააჯილდოვეს.

თერთმეტი მეწველი ძროხა ჰყავს ჩაბარებული ხაჯერს. 34.820 ლიტრი რძე უნდა მიეღო მათგან წლიური გეგმის მიხედვით, მაგრამ ეს რიცხვი უკვე დიდიხანია აღინიშნა მის შრომის წიგნაკში, ასობით კილოგრამი ზეგეგმითი პროდუქცია მისცა საყვარელ სამშობლოს.

პარტიის XXI ყრილობის თეზისებს რომ გაეცნო, ვალდებულება აიღო თვითეული ძროხის საშუალო წველადობა 3500 ლიტრამდე აეყვანა.

ხუთი შვილის დედაა ხაჯერი, ორსართულიანი ოდის დიასახლისი. შრომაა და ქმარს ვაჟკაცურად უდგას მხარში. 1700—1800 შრომადღე აქვთ ორივეს და 50 ათას მანეთამდე ღებულობენ ყოველწლიურად. ახლა საკარმიდამო ნაკვეთი ნახეთ!

უკვირთ— ამდენ შრომას როგორ უძლებს!

საქმე უყვარს და უძლებს.



გოგოლა ჯანუყაძე,
რაჟდენ ჩაჩუა.



# [illegible]!

გივლიათ ხელჩაკიდებული, როცა ვერ ამჩნევთ მგზავრებს, მანქანებს, როცა თქვენს განწყობას უნებურად გადასცემთ სხვებსაც, როცა სურთ რაღაც შეგეკითხონ და აღარ გეკითხებიან, სურთ შეგაჩერონ და მაინც გზას გითმობენ?

უთუოდ გივლიათ ხელჩაკიდებული.

ეს ყოფილა ახალგაზრდობაში, სიყვარულის დღეებში, როცა გქონდათ ახალი ოჯახი, ახალგაზრდული ოცნებები...

და ახლაც დადიან ოცნების კვალდაკვალ, დადიან და ერთმანეთს უზიარებენ როგორ მოაწყონ ბინა, რომ მყუდროებაც იყოს, სითბოც. სიხარულიც.



4

— საძინებელ ოთახში მუქი ფერის საწოლებს დავაწყობთ, აი ასეთს... (სურ. № 1).

სასადილოში კი... სასადილო პატარაა და სივიწროვე რომ არ იყოს, კუთხურ სერვანტს დავდგამთ (სურ. № 2).

მაშინ დივანიც დაეტევა, რბილი, რომ ჩაჯდები და ადგომა აღარ გინდა!

სამზარეულო კინაღამ დაავიწყდათ.. არა და რომელი ქალი არ ოცნებობს კარგ სამზარეულოზე.

გაკრიალებული თეთრი კარადები ისეთ მყუდროებას ჰქმნის, რომ დიასახლისის ოსტატობა ერთიორად იზრდება (სურ. № 3).

თბილისელებს სურთ, რომ შორეული მგზავრობა აღარ დასჭირდეთ, აქვე, თბილისში შეიძინონ

ავეჯის კომბინატის ნაწარმი. ამაზე ფიქრობს კომბინატის კოლექტივიც. თბილისისაა, 1500 წლის ქალაქის საწარმოა და სხვანაირად როგორ იქნება.

წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა კომბინატმა და გეგმის ზევით მილიონ ორასი ათასი მანეთის ავეჯი მისცა ქვეყანას. 1958 წლის მეორე კვარტალის გეგმის შესრულებისათვის ფულადი პრემია



5



2

და გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

და სულერთია, რა სამუშაოსაც არ უნდა ასრულებდეს, დიდსა თუ მცირეს, ამ მიღწევაში ყველას წვლილია, ავეჯის სულ პატარა ხრახნის დამმაგრებლისაც არის ეს გამარჯვება. უნდა იცოდნენ კი ჩვენმა მომხმარებლებმა მათი სახელები და გვარები. რომ იტყვიან — კარგიაო, და უცნობ ოსტატს შეაქებენ, გვარიც მოიხსენიონ, ის არ სჯობია?

აგერ ვარვარა კაპანაძე (სურ. № 4) ფანერის დამხარისხებელი, იცნობდეთ! მისი სამუშაო თავსამტვრევი არ არის, მაგრამ თუ უხარისხო მასალა გაეპარა, პროდუქციაც უხარისხო გამოვა. ამიტომ ძნელია მუშაობის დროს რითიმე მიიქციო მისი ყურადღება. დგას თავაუღებლად და ახარისხებს.

მას არც გამკრიალებელთა ბრიგადის ბრიგადირი ალექსანდრა ლაცაბიძე ჩამორჩება (სურათი № 5). იგი თბილისის ავეჯის კომბინატში მარელისიდან გადმოიყვანეს. ერთადერთი ქალი — სპეციალისტი იყო მაშინ ალექსანდრა, და რომ ასე ცალად არ დარჩენილიყო, მოწაფეები გაიჩინა. ანა კორნევა, თამარ ძამაშვილი, მარიამ სოტნიკოვა და სხვები ალექსანდრას აღზრდილები არიან.

მისი ბრიგადა თვეში საშუალოდ 25 საძინებელ გარნიტურს უშვებს და როცა პროდუქციით კმაყოფილი ბრიგადირი ხის გაკრიალებულ ზედაპირს ხელს გადაუსვამს, მშვიდობაში მოიხმარეთო, ჩაუთქვამს.

ლია ლიაძე.

ფოტო გ. ვახტანგაძის და დ. იაკობაშვილი

3





# სალხინობლის ველზე

„სალხინობლის ველი“ —ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც იტალიელმა საზოგადო მოღვაწე ქალმა დინა რილანდმა გამოაქვეყნა იტალიის ქალაქებიდან და სოფლებიდან მიღებული ბავშვების 150 წერილი.

წიგნის ასეთი სახელწოდება შემთხვევითი როდია. მას თავისი ისტორია აქვს. რამდენიმე წლის წინ მშიერი იტალიელი ბიჭუნა საკვების ძებნისას დაიღუპა „სალხინობლის ველზე“, რომელიც ნეაპოლის ახლოს მდებარეობს და უკანასკნელ დრომდე განკუთვნილი იყო ნაგვის დასაყრელ ადგილად. ეს ბავშვი ჩაეფლო ჩამოშვავებულ ნაგვის გროვაში და დაიღრჩო.

მოგვყავს რამდენიმე წერილი ამ კრებულიდან.

## როცა სიღატაკე მოვიდა

მე თორმეტი წლისა ვარ. ჩემი სახელია მარიო პუჩი. ცხრა წლის ვიყავი, როცა ჩვენს ოჯახში სიღატაკე მოვიდა. სხვა რა გზა იყო. უნდა სკოლისთვის თავი დამენებებინა (მაშინ მეოთხე კლასში ვიყავი) და სამუშაო მეძებნა.

ბოლო დრომდე სასაუზმეში ვმუშაობდი: დილიდან გვიანობამდე ჭურჭელს ვრეცხდი. ვღებულობდი ათასხუთას ლირს *) კვირაში. მერე ავად გავხდი და ორი დღის შემდეგ, როცა სამუშაოზე დავბრუნდი, გავიგე. რომ ჩემს ადგილზე სხვა ბიჭი მიეღოთ. ახლა დალაქობას ვსწავლობ. მყავს ხუთი და-ძმა. ერთი სათვალეს ატარებს, რადგან სისუსტისაგან მხედველობა დააკლდა. გულიც ცუდი აქვს. ჩემმა ოთხი წლის დამ არც ლაპარაკი იცის, არც სიარული, და ფულიც არა გვაქვს, რომ ვუმკურნალოთ. დედა უკვე ცამეტი წელია. რაც ავადმყოფობს, მამა კი გასული წლის 23 ნოემბრიდან უმუშევარია. ჩემ უფროს დას არ შეუძლია სამუშაოდ წავიდეს იმიტომ, რომ დედა ავადაა და ოჯახს და პატარებს მან უნდა მოუაროს.

ახლა ოჯახში მარტო მე ვმუშაობ და ის სიღატაკე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, წარმოუდგენელია. ყველაფერი ეს სიმართლეა.

მარიო პუჩი, 12 წლის.
რ ო მ ი.

## რატომ ტირის დედა

მე ძალიან ვდარდობ, ვერავისთვის გამიზიარებია ჩემი გასაჭირი, და ამიტომ შენ გწერ, ძვირფასო დინა. რა თქმა უნდა, ჯობს მხიარული ზღაპრისა და ამბების მოყოლა, მაგრამ, აბა, მე ეს შემიძლია?

ჩემი მამა წინათ ისეთი მხიარული იყო! სამუშაოდან რომ დაბრუნდებოდა. მუდამ მიყვებოდა საინტერესო ამბებს, ახლა კი ის მოწყენილი და გულჩათხრობილი გახდა. დედა? იმას ხომ სულ ველარ ვცნობ. მე მას სახეზე ვატყობ. რომ ძალიან უჭირს. ხშირად თვალცრემლიანსაც ვხედავ. ვეკითხები რათ ტირის. თურმე მალე 320 კაცი უნდა დაითხოვონ იმ ქარხნიდან, სადაც მამა მუშაობს. მე მესმის, როგორ ცუდ დღეში ჩავარდება ჩვენი ოჯახი, თუ მამა სამუშაოდან დაითხოვეს... ამბობენ, თუ სურვილი არის, სამუშაოს შოვნაც შეიძლებაო. მაგრამ სადაა ეს სამუშაო? ჩემ მამას ძალიან უნდა მუშაობა, მაგრამ რა ქნას თუ დაითხოვეს? გთხოვთ, მითხრათ რატომ ჩადიან ასეთ რამეს? ნუთუ ეს სამართლიანია?

ჯანლუიჯი მელოტი, 11 წლის.
მ ო დ ე ნ ა.

## სარდაფის ფანჯრიდან

მე ორი და და ერთი ძმა მყავს. ჩვენ სარდაფში ვცხოვრობთ. ჩემი მშობლები ძალიან ღარიბები არიან. მამა თითქმის მთელი ზამთარი უმუშევარი იყო, მე მეოთხე კლასში ვსწავლობ. დილით შევჭამთ პურის ნაჭერს და ვაშლს და მივდივართ სკოლაში. სახლიდან ჩემ სკოლამდე ორი კილომეტრია, ათ საათზე ჩემი ამხანაგები მეორედ საუზმობენ. მე კი..

ხშირად მშია, მაგრამ აბა როგორ ვეტყვი ამას მშობლებს, როცა ისინიც მშივრები არიან?! საშობაოდ კი ბავშვები ვიჯექით ჩვენს სარდაფში და ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილები შევსცქეროდით, როგორ ფარავდა მიწას თოვლის ქათქათა ფანტელები...

მე სხვა ბავშვებზეც ვფიქრობ, იმათზე, ვინც ქუჩაში გამოყარეს ბოროტმა ადამიანებმა და ჩემს დედ-მამაზე უფრო ღარიბმა მშობლებმა. აი როგორია ჩემი ცხოვრება ზამთარში: ოცნებები და იმედები.

სიმონეტა ბიანკინი, 9 წლის.
მ ო დ ე ნ ა.

---

*) ათას ხუთასი ლირით იტალიაში შეიძლება იყიდოთ 1 კგ. ხორცი.



ნახატი ა. ბელიუკინის

## მინდორში და შინ

მე ღარიბი გლეხის შვილი ვარ, ამიტომ არ შემიძლია დავისვენო ზაფხულში მთაში ან ზღვაზე, როგორც სხვა ბავშვებმა. ამის მაგივრად მე სახლში ვრჩები, ჩემთვის არ არის არდადეგები იმიტომ, რომ დედას ვეხმარები. ჩემი დედა ბრინჯის პლანტაციაში მუშაობს, ის ძალიან სუსტია და ამიტომ უჭირს შინ და მინდორში მუშაობა. აი რატომ ვეხმარები. მე ვდგები ადრე და როგორც კი ვისაუზმებ, მაშინვე შევუდგები ჭურჭლის და თეთრეულის რეცხვას, სადილის მომზადებას. შუადღისას დედაჩემი სადილად მოდის, მაგრამ ისეთი დაქანცულია, რომ სადილის ჭამის თავიც არა აქვს. სადილის შემდეგ ის ცოტახნით დასასვენებლად წვება. პირველ საათზე მე მას ვაღვიძებ და ისევ სამუშაოდ ვაცილებ, დამშვიდობებისას ვკოცნი. მე ძალიან მტკივა გული. როცა ვფიქრობ, რომ დედა კიდევ სამი საათის განმავლობაში უნდა იდგეს მუხლამდე წყალში, რომ რამდენიმე გროში იშოვოს...

კარლა პალეარი, **10** წლის.
პავია.

## კარიდან ვსუნთქავთ

ჩემი მშობლები მოჯამაგირეებია. ისინი ძალიან ბევრს მუშაობენ. მაგრამ ცოტა ფულს იღებენ. ჩვენ ყველანი ერთ ოთახში ვცხოვრობთ: მე. ჩემი ორი დაიკო. ჩემი საყვარელი მშობლები და ბებია. ოთახს არა აქვს ფანჯარა და როცა გვინდა სუფთა ჰაერით ვისუნთქოთ, კარს ვაღებთ.

მე დიდი სიხარულით დავდიოდი სკოლაში, მაგრამ სამწუხაროდ, სამი კლასიც კი ვერ დავამთავრე იმიტომ, რომ მამა ავად გახდა. და მე უნდა წავსულიყავი მინდორში სამუშაოდ დედასთან ერთად...

დომენიკა იზგრო, **12** წლის:
მესინა.

## დაღლილობა

მე ჯერ თოთხმეტი წლისა ვარ, ვმუშაობ ერთ დურგალთან დღეში ათი საათის განმავლობაში. საღამოს მოვდივარ სახლში საშინლად დაღლილი, ამიტომ მაპატიეთ, რომ გწერთ ასე ცოტას და შეცდომებით...

სერჯო პალდოვანი, **14** წლის.
რავენა.

## მე შენ გიამბობ...

იქნებ შენ არც დაიჯერო, მაგრამ აქ ძალიან ბევრი ბავშვი მუშაობს, რადგან სწავლის საშუალება არა აქვთ. მე ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც ჩემსავით მუშაობენ. ახლა მინდა ოთხი მათგანის შესახებ გიამბოთ.

ვინჩენცო ჩიპრიანი, 12 წლის, ხარაზთანაა მოწაფედ და დღეში 12 საათს და ზოგჯერ მეტსაც მუშაობს. თავისი ხელფასით მას მხოლოდ შეუძლია კინოს რამდენიმე ბილეთი იყიდოს.

სავინო დ აბენე, 15 წლის, მჭედლის შეგირდია, მუშაობს დღეღამეში 13 საათს. წინათ მეპატრონე თვეში ორჯერ აძლევდა 500 ლირს, ახლა კი იშვიათად აძლევს გასამრჯელოს.

ბრუნო ფორტე, 12 წლის, მუშაობს სასაუზმეში 15—16 საათის განმავლობაში, გასამრჯელოს კი იღებს მხოლოდ 1500 ლირს; მას ძალიან უნდოდა ესწავლა, მაგრამ უნდა იმუშაოს იმიტომ, რომ მამამისი შრომის ინვალიდია.

ჯიოვანი სუპერბო, 12 წლის, მწყემსავს ცხენებს· ალიონიდან ალიონამდე მუშაობს. მეპატრონე აჭმევს, თავის გამონაცვალს აცმევს, ხოლო ფულს სრულებით არ აძლევს.

ნატალე ორეკია, **15** წლის.
ბარი.

## წერილი მდიდრებს

ამ წერილს ვწერ მდიდრების ბავშვებს. მდიდრებს ყველაფერი აქვთ, რაც სჭირდებათ და ისინი არ ფიქრობენ ღარიბებზე, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ. ღარიბი ბავშვების დედები მუშაობენ მათთვის.

თუ ბავშვებს არა აქვთ წინდები, დედა წელებზე ფეხს იდგამს, რომ ის იყიდოს. მდიდრებს კი, ოღონდ მოისურვონ, და მაშინვე ყველაფერი აქვთ: ფეხსაცმელები, ბურთები, ბუცები, სანდლები... ზაფხულობით მდიდრები მიემგზავრებიან აგარაკებზე მთებში ან ზღვის ნაპირზე, ზამთარში თბილად აცვიათ, მათ არ ცივათ...

უგო სერაფინი, მე-**5** კლასის მოსწავლე.
კონსელვა.

* * *

წიგნის ფურცლები დაწერილია ბავშვთა მართალი ხელით. «ეს არაჩვეულებრივი, სამწუხარო დოკუმენტია, რომელიც გვავალებს ჩავუფიქრდეთ»,—ამბობს წიგნის შესავალში იტალიელი მწერალი კარლო ლევი.

ჟურნალიდან „სოვეტსკაია ჟენშჩინა“.



ჩემი დედოფალა.

ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილის

## ნაზი თარგამაძე

### ქეთინო და მანანა

ქეთინო და მანანა,
ორი კარგი დობილი,
მუდამ ერთად დადიან
სუფთად გამოწყობილი.

კარის მეზობლებია,
დილით ერთად დგებიან,
თითქოს მართლა დებია—
ყავთ ზიარი ბებია.

დაყავს საბავშვო ბაღში
ბებოს ხელჩაჭიდობილი

როგორც თავის მანანა
ისე მისი დობილი.

კარგი მეგობრებია,
გაბუტვა არ იციან.
მათ ხომ დობა შეფიცეს,
ხო და, ფიცი ფიცია!

ერთ ვაშლს ტოლად იყოფენ
დები თავაზიანი,
საერთო აქვთ თოჯინა,
ბებოცა ყავთ ზიარი.

### ვერ შერიგდნენ

ნულარ გავიბუტებით,
ჩემო ძმაო გოგი.
შემირიგდი, თავიდან
ვითამაშოთ, მოდი.

მე ვიქნები ჩიტუნა,
ხელებს ფრთებად გავშლი,
შენ მსუნაგი ფისუნა,
თოჯინა კი ბავშვი.

ერთი, ორი სამი... და...
სად გავფრინდე, საით?
ჰე, გადმოხტი სკამიდინ
ეშმაკ ფისოსავით.

ერთი, ორი, სამი... და...
ხელს ნუ კიდებ ბურთებს.
ახლა მე არ ვთამაშობ,
მართლა გაგებუტე.

### მტირალას ნათქვამი

გუშინ მიყიდა დედიკომ
პატარა ბიჭი ბაია.
მე კი დაიკო მინდოდა,
სულ ჩემი ბებოს ბრალია.

ვერ გავაჩუმე ვერაფრით,
ბევრი ვეფერე ძამიკოს,
ლექსები ბევრი ვუთხარი,
მან ერთიც კი ვერ გამიგო.

მამამ ვაჟიკო დაარქვა,
ბებომ ირჩია გოგია,
მე გადამარქვან მტირალა—
იმას დავარქვათ სჯობია.

### რად არ იძინებს საათი

ღამეა, დაწვა ბებიკო;
მე და დედიკოც ვიძინებთ,
ბუხართან ფისო კრუტუნებს,
ძინავთ კრუხსა და წიწილებს.

ჰრიჭინობელაც მიყუჩდა,
ყეფა შესწყვიტა ბროლიამ.
ღამე სულ ცოტა ხნით მაინც
ყველა იძინებს მგონია.

ჩემს გვერდით სძინავს დათუნას
და პაწაწინა ტიკინებს.
საათი რად არ იძინებს,
მთელი ღამე რომ ტიტინებს?

ის პაწაწინა ისარი
გარბის და სულ არ სცალია.
რად არ იძინებს, რად არა?
მაინტერესებს ძალიან.

### რა ბებო მყავს, რა ბებო!

ყველა ბებოს სჯობია
ჩემი ბებო ხათუნა,
გუშინ ბურთი მიყიდა
და ხავერდის დათუნა.

იცის ბევრი ზღაპარი
და ყოველდღე მიყვება—
რა იციან დათვებმა,
კურდღლებმა და ციყვებმა,

ყვავილები ერთმანეთს
თუ რას ეკითხებიან,
ჩიტები რას გალობენ—
იცის ჩემმა ბებიამ.

ჩიტი ამბავს მოუტანს
ხელს თუ ვახლებ ყვავილებს,
შუბლზე იცის წაკითხვა
გულში ტყვილს თუ გავივლებ

ყველას ბებოს სჯობია,
რა ბებო მყავს, რა ბებო!
რომ იცოდეთ, ნამდვილად
წამართმევდით ბავშვებო!

### მტირალების ექიმი

ექიმი ვარ ნამდვილი,
ვარჩენ ჩემზე პატარებს,
ვინც სულ ტირის და ვისაც
მუდამ ხელით ატარებთ.

მე თვითონ მოვიგონე
მტირალების წამალი,
შაქრისაგან ვამზადებ,
მწარე სულაც არ არი.

ჩემს პატარა ძამიკოს,
როცა ვასმევ მიცინის,
და ამიტომ დავარქვი
წამალს „მიცინ-მიცინი".

ვისაცა გყავთ მტირალა
თინიკო თუ თამარი,
გეფიცებით, მოგირჩენთ,
ასვით ჩემი წამალი.

### ვინ არის მათი მხატვარი

კომბოსტოს, ჭარხალს,
სტაფილოს,
მინდა ვიცოდე ყველაფერს,
მიწაში სხვადასხვაფერად
ნეტავი ვინ აფერადებს?

პამიდორს წითლად ვინ ღებავ
კიტრს ხან ყვითლად და ხან
მწვან
საზამთროს ასე რა ატკბობს,
წიწაკას რაღა ამწარებს.

ფერიც სხვა აქვს და სურნელი
რეჰანს, ქინძსა და სალათას,
მაკრატლით მათი ფოთლები,
ნეტავ ვინ შეალამაზა?

სულ ბოსტანში ვარ ჩამჯდარი,
სადაც დგას ჩემი ჩინარი,
ვდარაჯობ უცხო მხატვარს და
ვერ დავინახე ვინ არი.

# [illegible]

# [illegible]

ლ ე გ ე ნ დ ა

[illegible]

ეს მოხდა უთვალავი წლების წინ... მზე მაშინაც ასეთი ბრწყინვალე იყო, ცა ისეთი ლურჯი, როგორც ახლა და ბულბული, ვარდის აშიკი, მაშინაც უგალობდა ქვეყანას სიყვარულის ჰანგებს.

აღმოსავლეთის მბრძანებლის დიდებული სასახლე ოცნებასავით ნაირფეროვანი და ზღაპარივით უსაზღვროდ მდიდრული გახლდათ. მაგრამ ახლა მე არ გიამბობთ ამ სასახლის სილამაზეზე, არც მისი მბრძანებლის სიბრძნესა თუ მრისხანებაზე და არც იმ ამაოების ვნებათა ღელვაზე, რომელიც ამ ულამაზესი სასახლის შიგნით ხდებოდა... არა! ჩვენ ავცდეთ ედემის ბაღებს, მდიდრულად მოჭიქულ დარბაზებს და შევიხედოთ პატარა კოშკში, რომელიც განდეგილივით გამიჯვნია ჩუქურთმებიან სასახლის ნაგებობებს და აღმართულა ზემოთ, რომ გაეცალოს ყოველივე ამქვეყნიურს.

ამ პატარა კოშკში, მოხუც გადიასთან ერთად, ცხოვრობდა აღმოსავლეთის ძლიერი მბრძანებლის პატარა ასული, დაბადებიდან მთვარის ქალღმერთად განკუთვნილი, რადგან მისი დაბადება შემთხვევით თუ ზებუნებრივი ძალით, როგორც ამას ქურუმები ქადაგებდნენ, დაემთხვა მთვარის დიდ დღესასწაულს. და რა იცოდა პატარა გოგონამ, რომელიც ასე ხარბად სწოვდა სიცოცხლეს დედის მკერდიდან, რომ გრძელწვერა ქურუმებმა უკვე მოხაზეს მისი ბედი, ბედი მეტად სევდიანი და უხალისო.

ყოველივე ამქვეყნიურ სიმშვენიერეს მოწყვეტილი იზრდებოდა პატარა ჰია კოშკის ვიწრო სარკმლებიან უმზეო ოთახებში, რათა მზის მაცოცხლებელ ძალას არ აღეძრა მასში ამქვეყნიური გრძნობები.

მხოლოდ ღამით, როცა მთვარე ამოვიდოდა, ქურუმებს კოშკის ბანზე ამოჰყავდათ მთვარის ქალღმერთი. ძველ საკრავთა ჰანგების ღუღუნში ხელგაწვდილი ევედრებოდა პატარა ჰია მთვარეს, მაგრამ რას?.. ეს მან არ იცოდა. მიუწვდომელი და მოსაწყენი იყო მისთვის ძველთაძველი ლოცვები.

გადიოდნენ წლები... სასახლეში სიცოცხლე სჩქეფდა. ათასი ფერები, ათასი ჰანგები, ათასი გრძნობები ირეოდნენ, ერთმანეთს ცვლიდნენ, ერთმანეთს სპობდნენ, კვლავ იბადებოდნენ.

პატარა კოშკში კი მეფობდა უხსოვარი დროიდან მოსული რელიგიური ერთფეროვნება და სიჩუმე. აქ აკრძალული იყო ხმამაღალი ლაპარაკი, სიცილი. თვით უძლიერეს მბრძანებელსაც კი მხოლოდ ვიწრო სარკმლიდან ჰქონდა უფლება შვილის ხილვისა. და მაინც უჩვეულო ძალა იზიდავდა მას ამ პატარა ქალღმერთისაკენ. ყველასაგან განსხვავებული მისი ფერმკრთალი გამჭვირვალე სახე, დიდი, მოლურჯო სევდიანი თვალები, სათნო, ავადმყოფური ღიმილი, ხშირად წარმოუდგებოდა წინ და მის მრისხანე გულს ლმობიერებასა და სათნოებას მოჰფენდა. ქურუმები და მათი შთაგონებით ხალხიც ყოველივე ამას ქალღმერთის ზეძალას მიაწერდნენ, მასზე ლოცულობდნენ.



მხატვარი ლ. შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა



მაგრამ არც თუ ისე მორჩილი იყო სიცოცხლის ძალა, როგორც ეს ქურუმებს ეგონათ. ფერმკრთალი ქალის გულშიც კრთოდა მისი სხივი. მოხუცი გადია, რომელსაც თავზე მეტად უყვარდა პატარა ასული, მალვით უამბობდა მას ყვავილებზე, მერცხლებზე, მზის სხივებზე, სიცოცხლის მშვენიერებაზე, და პატარა ჰიაც მადლობის გრძნობით ეალერსებოდა მოხუც გადიას, ჰკოცნიდა მის დამჭკნარ თითებს, ცრემლებით უსველებდა მათ.

ასე იზრდებოდა პატარა ასული და უკვე არც თუ ისე პატარა იყო. ამაღლებულ მკერდს უკან გული სხვაგვარად ტოკავდა და სხეულს გამოუცნობი სითბო სთენთავდა. მთვარისაკენ სალოცავად გაწვდილი ხელები, პაწაწინა გული რაღაცას სთხოვდა, მაგრამ რას?! ეს მან არ იცოდა. სიტყვა სიყვარული მისთვის უცნობი იყო, არ იცოდა მისი ულმობელი ძალა, მისი სახიფათო სიტკბო. და აი, აქაც მონახა სიყვარულმა თავისი მსხვერპლი, დაეუფლა მის სულს, თრთოდა მის სხეულში, უკრთობდა ძილს, ევლინებოდა ტკბილ სიზმრებად.

... და ერთხელ, გათენების ხანს, როცა გადიას ღრმად ჩაეძინა, პატარა ჰია სიზმარმა შეაკრთო და გამოაღვიძა. შეღებულ კარებში სუსტი სინათლე დაინახა, მას მიჰყვა, ვიწრო კიბეებმა სადღაც ქვევით, ქვევით ჩაიყვანა და... გაკვირვებული გოგონა წალკოტივით მშვენიერ ბაღში მოხვდა. დამათრობელი იყო გაზაფხულის ყვავილთა სურნელება, სადღაც შორს, ბულბული კვნესოდა. საბრალო ასულის ფერმკრთალი თითები კრძალვით ეხებოდნენ ვარდის დანამულ ფოთლებს, რაღაც ძალა კი ეწეოდა მას სულ უფრო შორს, სულ უფრო იქით... და უცებ, შველივით შეკრთა, საშველად ბუჩქს ჩასჭიდა ხელი, გაქცევა სურდა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა. მისგან სულ ახლოს დილის ბურუსიდან ლამაზი ჭაბუკი უღიმოდა და თითქოს ეძახდა კიდეც.

... პატარა ჰია გონს მაშინ მოვიდა როცა, სირბილს მიუჩვეველი მუხლები კიბეებზე ჩაეკეცა.

გაურკვეველმა ოცნებამ სახე მიიღო, სახე მშვენიერი, ლამაზი ჭაბუკისა. ახლა პატარა ჰიას აქვს თავისი საიდუმლოება, რომელსაც ის საყვარელ გადიასაც ვერ გაუმხელს. მხოლოდ მთვარეა მისი მესაიდუმლე, მას ევედრება ის.

არავინ იცის ისიც, რომ პატარა ჰია, ყოველ ღამე, მალულად შორიდან ეალერსება თავის მიჯნურს. «მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა»? და საბრალო გოგონას ეს მცირე თავისუფლებაც არ დარჩათ შეუმჩნეველი გულქვა ქურუმებს. მოხუცი გადია განდევნილ იქნა სასახლიდან. მის ნაცვლად ვიღაც მუნჯი მიუჩინეს ფარეშად მთვარის ქალღმერთს. ყველა კარები მაგრად გადარაზეს. გადაიკეტა ჰიას სიხარულიც, ჰიას ბედნიერებაც. დარჩა სულ მარტო საბრალო ქალწული. მას ორი ძვირფასი ადამიანი გააჩნდა ამ ქვეყნად — მოხუცი გადია და ლამაზი ჭაბუკი. საბედისწერო იყო მისთვის მათთან განშორება.

დილის მთვარესავით ილეოდა, იცრიცებოდა მისი ნაზი, ემზეოდ გაზრდილი სხეული.

ოჰ! ერთხელ კიდევ რომ ენახა ის იქ, ყვავილნარში, ერთხელ კიდევ?!.

და აი, ისმინა მთვარემ მისი ვედრება. კვლავ მირბის პატარა ჰია ვიწრო კიბეებით ქვევით, აი ბაღის ბილიკი... აი ის... და მხურვალე ტუჩები დაეკონა ჭაბუკის ტუჩებს...

დილით მზე ჩვეულებრივ ამობრწყინდა... სასახლეში კი უჩვეულო გლოვის ზარი იდგა. მთვარის ქალღმერთი პატარა ჰია უსულოდ ნახეს მზეჭაბუკის ქანდაკებასთან...

ეს მოხდა უთვალავი წლების წინ...

მზე მაშინაც ასეთი ბრწყინვალე იყო...

ცა ისეთი ლურჯი, როგორც ახლა, და ბულბული მაშინაც უგალობდა ქვეყანას სიყვარულის ჰანგებს.

ლეილა მესხი.

# მორიამა კეი

იაპონელ ხალხს ძალზე მდიდარი პოეტური კულტურა აქვს. იაპონელი პოეტების მოხდენილი ლირიკული სტრიქონები ცნობილია თითქმის მთელს მსოფლიოში. მაღალი პოეტური კულტურის გარდა იაპონელი პოეტებისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო სოციალური მოტივის წინა პლანზე წამოწევა. განსაკუთრებული ადგილი იაპონელი პოეტების შემოქმედებაში ყოველთვის ეჭირა ქალთა უნუგეშო მდგომარეობას. პროგრესული პოეტები ხშირად იმაღლებდნენ ხმას ქალების მონური მდგომარეობის წინააღმდეგ, რაც ძალზე შესამჩნევი იყო იაპონიაში, ამ «ამომავალი მზის ქვეყანაში».

XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში იაპონიაში დასაბამი მიეცა მნიშვნელოვან პროგრესულ მიმდინარეობას, ე. წ. «ხეიმინ უნდოს» «უბრალო ადამიანების მოძრაობას». მას მოჰყვა მუშათა მოძრაობის განვითარება, რომელმაც მალე მოიცვა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ამ მოძრაობის საფუძველზე აღმოცენდა ლიტერატურული ნაკადი — «პრორეტარია ბუნგაკუ» — «პროლეტარული ლიტერატურა». თავისი შინაარსით ესაა პოეზია, რომელიც ასახავს ექსპლოატირებული მასების პროტესტს კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ.

იაპონელ ქალთა დასაცავად ხმა ამოიღეს «პროლეტარული ლიტერატურის» არაერთმა სახელოვანმა წარმომადგენელმა — ნიკი ძირომ, იტიდა აკიმ, მიკავა ხედეომ და სხვებმა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოეტ ქალს მორიამა კეის (დაიბადა 1901 წ.). მისი ლექსები ღრმა სიყვარულით არის გამსჭვალული იაპონელი ქალებისადმი.

იგი აშკარა პროტესტს აცხადებს კაპიტალისტური ცხოვრების წესების წინააღმდეგ, რომელთაც იაპონელი ქალებისათვის ჩაგვრისა და უბედურების მეტი არაფერი მოაქვთ. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ლექსი «სიმღერა გარდაცვლილ ქალიშვილზე».

## სიმღერა გარდაცვლილ ქალიშვილზე

ჩემო ომიტი, ჩემო გოგო სად დაიბადე?
იქნებ გინძაზე* მაღალ სახლში, სადაც ყვაოდა
ფერად-ფერადი ყვავილების სხვადასხვაობა?
არა ომიტი, მდინარესთან, ვარდებზე ადრე—.
კვამლიან ქოხში, დაბალ ქოხში შენ დაიბადე,

იქნებ შეფუთვნილს სასთუმალთან ყვავილი გეწვა,
რადგანაც დედა გახურავდა ვარდების ზეწარს?
იქნება ძიძა ჩხარუნათი გიფრთხობდა ფიქრებს,
მშობლიურ ზღაპრით გამშვიდებდა ძუძუსთას იქნებ?
არა, ომიტის ქვაზე მკვრივი ლოგინი ეგო,
ღარიბმა ბედმა დედის გვერდით საწოლი არგო,
ჩემო ომიტი, იმ დღეებში პატარა გოგოს
დედის ალერსის ვარდნარებში გეძინა, კარგო.

ლამაზი გახდა, ვით ზამბახი ნარწევი ქართა,
იგი ალუბლის პირველი წლის ყვავილებს გავდა,
სიტურფეც ჰქონდა ვაზის ლერწის სინორჩის გარდა..
ბავშვურ სიცილში შეუმჩნევლად თურმე დრო მიდის,
დაქალიშვილდა, გაიზარდა ჩემი ომიტი.

ის იქნებოდა იმ მერცხალზე ათასჯერ ლაღი,
ამომავალ მზეს რომ უგალობს ზეცაში დილით,
რომ არ დაეჭკნო სიღატაკეს ბავშვობის ბაღი,
რომ არ გაეგო სიღარიბის სუსხი და ჩრდილი,
რადგანაც თუ კაცს სიღარიბის ბრჭყალები მოხვდა,
ნათელ სურვილებს მყის დაახრჩობს ცრემლი და ოხვრა,
მწარე ბედ-იღბალს გზას დაუთმობს ოცნება ტკბილი.

და მაშინ როცა სიღატაკე იგრძნო ურჯულო,
მომეხვია და ასე მითხრა გოგომ ჩურჩულით:
«გამიშვი, დედი, ქარხანაში წავიდე მინდა,
იქაც იქნება გული თურმე ხალისით სავსე,
იქაც უბერავს გაზაფხულის ნიავი წმინდა, —
კაცმა მოსულმა იმ ქარხნიდან მირჩია ასე».

ო. განერიდეთ. განერიდეთ ამნაირ მრჩევლებს,
სათვალეებით რომ ფარავენ ბნელ თვალის ჭრილებს,
ყველგან სიცრუეს რომ ტოვებენ ისე ვით მძევლებს,
ამგვარ სიცრუით დაღუპავენ თქვენს ქალიშვილებს.
იმათ მომპარეს სიცოცხლე და ვერაფრით მიზღეს.
ო, განერიდეთ, განერიდეთ და შეიზიზღეთ!

ქვეყნად გოგონას დაბადება დარდს ტოვებს გულში,
რადგან ქარხნების, ფაბრიკების მტვერში თუ ბურში
დაჭკნენ ვარდები ლამაზები, თვალს მიეფარნენ.
იქ, ქარხნებიდან ზეცისაკენ კვამლი რომ მიდის,
დაავადმყოფდა სასიკვდილოდ ჩემი ომიტი.
რა მოვიგონო იმ დღეებზე უმეტეს მწარე.

იგი მალავდა ჩემს თვალთაგან სადარდელს საშიშს,
როგორ დაღონდა, გაფერმკრთალდა საბრალო მაშინ,
ბაგენი — ვარდნი, გულუბრყვილო სიცილი მისი,
ო, ყველაფერი უკვდავების რაც იყო ღირსი,
სად დაიკარგა საუკუნო მდუმარებაში?

საოცრად გახდა, მიილია პატარა გოგო,
გენახათ ნეტა, დარდისაგან ცრემლი მდის მომგონი
ღარიბმა ბედმა, სიღატაკემ იპოვნა იგი,
სოველ მიწაზე, ბნელ ქუჩებში, საოცარ რიგით
დაცვენილ ფოთლებს მდუმარენი ვპოულობთ როგორც.

შენი სიცოცხლე პაწაწინა სად გაჰყვა ქართა.
იქნებ განძაზე, მარადიულ ზაფხულის კართან?
ბინაში, სადაც არარაა ვარდების გარდა?
არა! ქარხნებში, ჯოჯოხეთურ მანქანებს შორის,
შენ მიიცვალე უნაზესი ყვავილის სწორი...

ო, გოგონებო, როგორ ჰგავხართ ომიტის ყველა,
ოი, დედანო, უბედურნო, მე მგავხართ ყველა!
პატარა ქოხში მეხვევიან დარდები მწველად,
ჩვენს გაწამებულ ცხოვრებაზე ვფიქრობ და ვღელავ,
რომ უთენებლად, უთენებლად გარშემო ბნელა.

**თარგმანი ვახტან გოგოლაშვილის და დავით კაკაბაძისა.**

* გინძა — მთავარი ქუჩა ტოკიოში.

# ახალი წელი

მუსიკა თ. ანდრონიკაშვილის

ტექსტი თ. აბაშიძის




შენ ლამაზო,
შენ ტანადო
კოხტა ნაძვის ხეო!
ათასფერად
გაგვინათე
ახალი წლის დღეო.
სიმღერებით
გესალმებით
ყური დაგვიგდეო!
იციმციმე,
იკისკისე,
დივლი-დალალეო!
საჩუქრები
დაგვირიგე,
პირი დაგვიტკბეო,
თოვლის პაპა,
თეთრი პაპა
თან მოიყვანეო!
მოგვილოცე
საყვარელი
ახალი წლის დღეო,
შენ ლამაზო,
შენ ტანადო
კოხტა ნაძვის ხეო!

# საქართველოს მოჭადრაკე ქალთა გამარჯვება

შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის მოყვარული საზოგადოება ხარკოვში გამართულ ქალთა XX საიუბილეო საჭადრაკო ჩემპიონატს.

უჩვეულო და სარეკორდო იყო საქართველოდან წარგზავნილ მონაწილეთა რიცხვი; ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირში იცავდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ალა ჩაიკოვსკაია, მანანა ტოგონიძე და ელისო კაკაბაძე.

საქართველოს წარმომადგენლებმა ძლიერი შემადგენლობის შეჯიბრში საამაყო შედეგებს მიაღწიეს—ერთი ბრინჯაოს მედალი ნონა გაფრინდაშვილს III საპრიზო ადგილისათვის, ორი გაზეთ «კრასნაია ზნამიას» სპეციალური პრიზი—ა. ჩაიკოვსკაიას უკანასკნელ 6 ტურში საუკეთესო შედეგისათვის და ე. კაკაბაძეს—მსოფლიოს ექსჩემპიონ ო. რუბცოვასთან ჩატარებული პარტიისათვის. ეს იყო ქართველ მოჭადრაკე ქალთა დიდი გამარჯვება.

ხარკოვის სპორტისმოყვარულთა ყურადღების ცენტრში ნონა გაფრინდაშვილი იყო. ნიჭიერი ქალიშვილის თამაშის სტილმა, გამარჯვებისადმი დაუცხრომელმა მისწრაფებამ მას მრავალი ახალი თაყვანისმცემელი შესძინა.

ნონას «ძველ» გულშემატკივრებისათვის ეს არც იყო მოულოდნელი. მათ კარგად ახსოვთ ნონა გაფრინდაშვილის 1956 წლის საჭადრაკო ფურორი. 15 წლის გოგონამ უდავო ნიჭით და მიზანდასახული შრომით საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ნონას, და საერთოდ ჭადრაკს, ურიცხვი ქართველი გულშემატკივარი შემატა.

ამჯერადაც ნონა ჩვეული ბრძოლისუნარიანობით ლიდერობდა ტურნირს, როგორც ყოველთვის მან ყველაზე მეტი (10 შეხვედრა) მოიგო და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ოქროს მედლის მოცილეებს კ. ზვორიკინას და ლ. ვოლპერტს. ეს ახალი სასიქადულო ფურცელია 17 წლის ქართველი ქალიშვილის სპორტული ბიოგრაფიისა.

XX საკავშირო ჩემპიონატში ნ. გაფრინდაშვილის ლიდერობით მოპოვებულ საქართველოს მოჭადრაკეთა წარმატებებმა ცხადჰყო მათი შესაძლებლობათა პერსპექტიულობა და «გზა გაუხსნა მათ საჭადრაკო ხელოვნების მწვერვალებისაკენ».

* * *

ჟურნალის ბეჭდვისას ცნობილი გახდა, რომ ნონა გაფრინდაშვილს—მესამე საპრიზო ადგილისათვის—პირველს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა შორის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.

**რ. მელაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დრი ფილმიდან „ზვიგენის კბილი"



კადრი ფილმიდან „თეთრი სასტუმრო"



კადრი ფილმიდან „ორი ოჯახი"

# მალე ახალი ქართული ფილმები



კადრი ფილმიდან „თეთრი სასტუმრო"

კადრი ფილმიდან „ზვიგენის კბილი"





კადრი ფილმიდან „ორი ოჯახი"



კადრი ფილმიდან „თეთრი სასტუმრო"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნადირის მიერ გამოკვებილნი





გრ. ზარდალიშვილი,

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1955 წლის დამლევს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო ქ. ლაკხნაუს (ინდოეთი) მახლობლად «გარეული ბავშვის» დაჭერამ. ეს უცნაური ბავშვი ოთხზე დადიოდა, მგელივით ყმუოდა და ახლოს არავის იკარებდა.

მეცნიერთა აზრით ბავშვი მგლების მიერ იყო გამოზრდილი.

ცნობილია მხეცების მიერ ბავშვების გატაცებისა და გამოკვების არა ერთი ფაქტი. აი ზოგიერთი მათგანი:

## მაიმუნების შვილობილი

1903 წელს ჩრდილოეთ აფრიკაში მაიმუნ-პავიანების ჯოგში აღმოაჩინეს გაველურებული ბიჭი, რომელიც, ალბათ, დიდი ხანია იმყოფებოდა მაიმუნებთან. ეს ბიჭუნა მდიდარმა გლეხმა—სმიტმა იშვილა და ლუკასი დაარქვა. მან 1950 წლამდე იცოცხლა.

რამდენი წელიწადი დაჰყო ლუკასმა მაიმუნებთან, ცნობილი არ არის. არც თვითონ იცოდა. შემორჩენილია ცნობები, რომ ათი წლით ადრე ლუკასის პოვნამდე, ადგილობრივ მცხოვრებთ საველე მუშაობის დროს პატარა ბიჭი დაეკარგათ. ალბათ. გზად მიმავალმა მაიმუნ-პავიანების ჯოგმა თან წაიყვანა იგი და «იშვილა».

მაიმუნებთან ყოფნის პერიოდში ბავშვმა შეითვისა მათი ჩვევები, ისწავლა წკმუტუნი, ღრიალი, პრანჭვა-გრეხა და სხვ.

ერთ დღეს მაიმუნთა «ახალგაზრდობა» ღია ადგილზე შეკრებილიყო. მათთან ერთად იყო ბიჭუნაც. უცბად შორიდან გამოჩნდა ორი მხედარი და სროლაც გაისმა. შეშინებულმა მაიმუნებმა ტყისკენ მოჰკურცხლეს. მხედრებმა დაინახეს, რომ ერთი პავიანი ჩამორჩა ჯოგს, ცხენებს ქუსლი ჰკრეს და შეეცადნენ ცოცხლად ჩაეგდოთ იგი ხელში. როგორ გაუკვირდათ, როცა პავიანის ნაცვლად ოთხზე მოსიარულე ველური ბიჭუნა დაინახეს. მისი დაჭერა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ბიჭუნა სწრაფად მოძრაობდა, იკაწრებოდა, ყმუოდა და კბილებს აკრაჭუნებდა, როგორც ნამდვილი მაიმუნი. მიუხედავად ამისა, მხედრებმა ბიჭუნა შეჰკრეს და ქალაქში ჩამოიყვანეს, სადაც ის ერთმა გლეხმა იშვილა.

ლუკასის «გაადამიანება» ძნელი აღმოჩნდა. ის მძიმედ ითვისებდა ადამიანურ ჩვევებს. ორმოცი წლის შემდეგაც შერჩა მაიმუნის ზოგიერთი ჩვევა: კბილების კრაჭუნი, თავის განსაკუთრებული მოძრაობა, მუდმივი ქექვა და სხვ.

## ბავშვები მგლის ბუნაგში

ეს მოხდა 1920 წელს. ქალაქ კალკუტის (ინდოეთი) სამხრეთ დასავლეთით. პატარა ქალაქ მიდნაპორის მცხოვრებთა შორის გავრცელდა ხმა. რომ ტყეში, მგლის ბუნაგში ცხოვრობდნენ ბავშვები. მონადირეებმა გადაწყვიტეს მათი დაჭერა. გამოთხარეს მგლის ბუნაგი, ორი მგელი გაიქცა, ძუ-მგელი, რომელიც ბუნაგში დარჩა და იცავდა თავის პატარებს, ხელშუბით მოკლეს. ბუნაგში აღმოაჩინეს მგლის ორი ლეკვი და ორი გოგონა. ერთი ორი-სამი წლის, ხოლო მეორე შვიდი-რვა წლისა იქნებოდა. პირველს დაარქვეს ამალა, მეორეს—კამალა. გოგონებს ჰქონდათ ნადირის ჩვევები: სჭამდნენ მხოლოდ უმ ხორცს, ჭამის დროს ხელებით არ სარგებლობდნენ, სჭამდნენ პირდაპირ თეფშიდან. წყალსაც ასევე სვამდნენ. პირველ ხანებში ოთხ ფეხზე დადიოდნენ, ეშინოდათ სინათლისა და კარგად ეგუებოდნენ სიბნელეს. დღისით ეძინათ. ღამე დაძრწოდნენ და მგელივით ყმუოდნენ.

ამალა და კამალა სხვა ბავშვებთან საერთო ენას ვერ ნახულობდნენ და არც თამაშობდნენ მათთან, ინტერესს იჩენდნენ მხოლოდ ძაღლის ლეკვების მიმართ. მათთან თამაშობდნენ და ერთი თეფშიდანაც სჭამდნენ.

კამალას «გაადამიანების» ცდა ძირითადად წარმატებით მიმდინარეობდა—ორიოდე წლის შემდეგ ისწავლა ფეხზე დგომა და სიარული. თუმცა სიარულის დროს ხელს მაინც იშველიებდა, 6 წლის შემდეგ კი თავისუფლად დადიოდა, მხოლოდ ვერ ისწავლა სწრაფი სიარული და რბენა. თუ მას სწრაფად წასვლა სურდა. ისევ ოთხზე დგებოდა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კამალა მიეჩვია ღამით ძილს, მოსწონდა ადამიანთა საზოგადოება, საჭმელს ხელებით მიირთმევდა. წყალს ჭიქით სვამდა, მაგრამ გონებრივი განვითარებით მაინც შორს ვერ წავიდა. კამალა ხორცის გარდა არაფერს სჭამდა, მცენარეულ საჭმელს არ იკარებდა, ძლივსძლივობით შეეჩვია რძის სმას. ამიტომ ვიტამინების ნაკლებობამ მისი ორგანიზმი საგრძნობლად დაასუსტა.

ლაპარაკი კი ვერც ერთმა ვერ ისწავლა, მხოლოდ ყმუოდნენ. ან ისეთი ბგერები აღმოხდებოდათ. რომლებიც არც ადამიანის ლაპარაკს ჰგავდა, არც ცხოველთა ხმას. ოთხი წლის შემდეგ კამალას რამდენიმე სიტყვა ესმოდა. შეისწავლა მხოლოდ ექვსი. შვიდი წლის შემდეგ მისი მეტყველების ლექსიკონი 45 სიტყვისაგან შესდგებოდა.

ბავშვები ტანისამოსს ვერ ეგუებოდნენ. ვერც სიცხეს გრძნობდნენ და ვერც სიცივეს. ცივ დღეებშიც კი არ იხურავდნენ საბანს, ეშინოდათ ცეცხლისა და წყლისა. კამალა და ამალა დიდი მეგობრები იყვნენ—ერთად ეძინათ ისე, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეციან ძილი ლეკვებმა. როდესაც ამალა მოკვდა (1921 წლის 21 სექტემბერს), კამალას ორი დღის განმავლობაში არაფერი უჭამია.

უცხო ბავშვების მიმართ კამალა მტრულად იყო განწყობილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას ჭამაში უშლიდნენ ხელს. ერთხანს სიამოვნებას გვრიდა პატარა ბავშვი, რომელსაც ჯერ სიარული არ შეეძლო და იატაკზე დაცოცავდა, მაგრამ ერთხელ თავს დაესხა მას და ძლიერ დაკბინა.

უკანასკნელ წლებში კამალას ლექსიკონმა ას სიტყვას მიაღწია, 16 წლისა თავისი განვითარებით მხოლოდ ორი წლის ბავშვს მოგვაგონებდა. გარდაიცვალა 1929 წელს, 17 წლის ასაკში.

## ავაზას მიერ გამოკვებილი

ავაზას მიერ ბავშვის გამოზრდაზე მოგვითხრობს ცნობილი ფრანგი მეცნიერი, ადამიანის მუზეუმისა და პალეონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ანრი ვალუა.

1920 წელს ინდოეთში, კაშარის მთებში (ასამის პროვინცია) ერთ-ერთი სოფლის მახლობლად ნადირობის დროს მოკლეს ავაზას ორი ლეკვი. ძუ-ავაზამ სოფლამდე სდია მონადირეებს, შემდეგ დიდხანს ხეტიალობდა სოფლის გარშემო. ადგილობრივ მცხოვრებლებს რამდენიმე დღის განმავლობაში ესმოდათ მისი საცოდავი ყმუილი.

რამდენიმე დღის შემდეგ მინდორში მომუშავე გლეხის ქალს ორი წლის ბიჭუნა მოსტაცა ავაზამ. ძებნამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, ვერ მიაკვლიეს ბავშვის ასავალ-დასავალს, სამიოდე წლის შემდეგ სოფლის მახლობლად ძუავაზა მოჰკლეს. მონადირეებმა მის ბუნაგში იპოვეს ორი ლეკვი და პატარა ბავშვი, რომელიც ღრენით და კბილების ღრეჭვით შეხვდა ადამიანებს. ბიჭუნა დაახლოებით ხუთი წლისა იქნებოდა, სწრაფად დარბოდა ოთხზე, ადვილად ერკვეოდა გარემოში, ხელის გულებსა და მუხლის თავებზე მაზოლები გასჩენოდა.

მშობლებმა იცნეს შვილი და სახლში წაიყვანეს. ბავშვი ახლოს არავის იკარებდა, იკბინებოდა, თავს ესხმოდა ქათმებს, გლეჯდა და სწრაფად ჭამდა მათ. რამდენჯერმე ტყეში გაიქცა და ისე კარგად იმალებოდა, რომ ძლივს პოულობდნენ, ისიც მეძებარი ძაღლების დახმარებით.

სამი წლის შემდეგ ბავშვმა ისწავლა დგომა და ნორმალური სიარული, მაგრამ ოთხზე სიარულს მაინც არჩევდა, მალე ბავშვს ყვავილი დაემართა, მხედველობა დაჰკარგა, მაგრამ ყნოსვით შეუცდენლად სცნობდა საგნებსა და ადამიანებს.

ნადირის მიერ ბავშვების გატაცებისა და გამოკვების ფაქტები ცხადჰყოფენ იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისათვის ცხოვრებისა და აღზრდის პირობებს.

*იურიდიული კონსულტაცია*

# ორსული და მეძუძური ქალების შვებულების შესახებ

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ქალი უფლებრივად გათანასწორებულია მამაკაცთან, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე მაღალ დონეზე დგას.

შრომის კანონმდებლობაში განსაზღვრული მითითებებია მოცემული ორსული ქალებისა და მეძუძური დედების სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის შესახებ. თუ ქალი ფეხმძიმედ არის ან ჩვილი ბავშვი ჰყავს, აკრძალულია ამ მოტივით სამუშაოდ მიღებაზე უარისთქმა ან ხელფასის შემცირება. ამ წესის დარღვევისათვის დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ორსული ქალის სამუშაოდან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ისიც პროფორგანიზაციის ნებართვით. ეს გარანტიები ვრცელდება აგრეთვე მარტოხელა დედებზე, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ. ამასთან მარტოხელა დედად ითვლება არამარტო ის ქალი, რომელიც მარტო ცხოვრობს, არამედ ისიც, რომლის ხელფასი ერთადერთი წყაროა მცირეწლოვანი ბავშვის შესანახად.

კატეგორიულად აკრძალულია მეძუძური დედების ზედმეტ საათებში მუშაობა ძუძუს წოვების პერიოდში. ამასთან ეს პერიოდი განსაზღვრული არ არის 9 თვით. მის ხანგრძლივობას განსაზღვრავს სამკურნალო დაწესებულება. დაუშვებელია აგრეთვე ზედმეტ საათებში ფეხმძიმე ქალების მუშაობა, დაწყებული მეოთხე თვიდან.

ორსულ ქალებს უფლება აქვთ დეკრეტული შვებულების პერიოდის დაწყებამდე მოითხოვონ მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა საშუალო ხელფასის შენარჩუნებით. თუ ძუძუს წოვებასთან დაკავშირებით შეუძლებელია წინანდელ სამუშაოზე ქალის დატოვება, მაშინ გადაყვანილ უნდა იქნას სხვა სამუშაოზე იმავე საწარმოში ან დაწესებულებაში საშუალო ხელფასის შენახვით.

კანონი კრძალავს, აგრეთვე, ფეხმძიმე ქალებისა და მეძუძური დედების ღამით მუშაობას.

აკრძალულია ფეხმძიმე ქალის მივლინებაში გაგზავნა ორსულობის მეხუთე თვიდან.

ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დაწესებულია შვებულება 112 კალენდარული დღით, ე. ი. 56 დღე მშობიარობამდე და 56 დღე მშობიარობის შემდეგ. არანორმალური მშობიარობის ან ტყუპი და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში, მშობიარობის შემდგომი შვებულება გრძელდება 70 კალენდარული დღით.

საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების გარდა ფეხმძიმე ქალებს მისცენ მორიგი შვებულება, მიუხედავად იმისა, ნამუშევარი აქვთ თუ არა ამ საწარმოში ან დაწესებულებაში 11 თვე. მორიგი შვებულების დროის შერჩევა, ე. ი. მშობიარობამდე თუ მშობიარობის შემდეგ მისი აღება, დამოკიდებულია თვით ქალის სურვილზე.

თუ მშობიარობა დაემთხვა მორიგ შვებულებაში ყოფნას, მორიგი კალენდარული შვებულება წყდება და განახლდება მშობიარობის შემდგომი შვებულების დამთავრებისთანავე.

თუ მშობიარობის წინა პერიოდის შვებულება აღმოჩნდა 56 კალენდარულ დღეზე მეტი ან ნაკლები, დახმარება გაიცემა შვებულების ფაქტიური დღეების მიხედვით. მშობიარობის შემდგომი შვებულება მუდამ იანგარიშება მშობიარობის დღიდან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ შვებულება იანგარიშება კალენდარული დღეების, დახმარება კი სამუშაო დღეების მიხედვით. რაც მეტია მუშაობის უწყვეტი სტაჟი, მით უფრო მეტია დახმარების ოდენობა.

„მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე სახელმწიფო დახმარების საქმის გაუმჯობესებისა და ქალთა შრომის პირობებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ" სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 19 მაისის ბრძანებულებით მუშა და მოსამსახურე ქალებს, რომლებიც ფეხმძიმედ არიან და დედებს, რომელთაც ერთი წლის ასაკის ბავშვი ჰყავთ, უფლება აქვთ მოითხოვონ სხვა სამუშაოზე გადასვლა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უწყვეტი სტაჟის შენარჩუნებით.

საერთო შესვენების გარდა მეძუძურ დედებს ყოველი სამსაათნახევრის შემდეგ დამატებით ეძლევათ არანაკლებ ნახევარი საათის შესვენება, რომელიც შედის სამუშაო დროში. ეს შესვენება ეძლევათ ბავშვის ძუძუს წოვების მთელს პერიოდში.

მეძუძურ დედებს დადგენილი შესვენება გამოსასვლელისა და დღესასწაულის წინადღეებში ეძლევათ ერთხელ ნახევარი საათით, რაც დედის სურვილით შეიძლება გადატანილ იქნას სამუშაო დღის ბოლოს.

ქალთა და დედათა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებაზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა დადგენილება, რომელიც მათ დამატებით შეღავათებს ანიჭებს.

ხელფასიანი შვებულების გარდა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან ორსულობა-მშობიარობის გამო შვებულების დამთავრების შემდეგ მისცენ ქალს დამატებითი უხელფასო შვებულება სამ თვემდე ვადით თუ ამას დედები მოითხოვენ. ეს შვებულება ჩაითვლება როგორც მუშაობის საერთო, ისე უწყვეტ სტაჟში.

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით დედებს უფლება აქვთ შვებულების დამთავრების შემდეგ შეწყვიტონ მუშაობა, ხოლო თუ ისინი კვლავ შეუდგებიან მუშაობას არა უგვიანეს ერთი წლისა, მათ შეუნარჩუნდებათ მუშაობის უწყვეტი სტაჟი. მაგრამ ეს პერიოდი არ ჩაეთვლებათ შრომის სტაჟში.

**ზ. ნარიმანოვი,**
საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს უფროსი კონსულტანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართლური და კახური სუფრა

## არტალა

1—1½ კგ ძროხის კანჭი კარგად გარეცხეთ ნელთბილი წყლით, დაჩეხეთ, ჩაყარეთ მდუღარე წყალში, ქვაბს დახურეთ სახურავი, დადგით ძლიერ ცეცხლზე და როცა კვლავ ადუღდება, ცეცხლი შეანელეთ, რათა ნელა იხარშოს. ადუღებამდე მოხადეთ ქაფი. დაუმატეთ 2—3 კბილი ნიორი, 3 ძირი ნიახური (მთლიანად) და ხარშეთ, სანამ ძარღვებიანი ხორცი შიგ არ ჩაიშლება. ხარშვის დამთავრების შემდეგ წვენიდან ამოიღეთ ჩახარშული ნიახური, უყავით გემოვნებით მარილი, დანაყილი ნიორი და ჩაყარეთ უმი ნიახურის დაჭრილი ფოთლები.

## ქათმის ჩიხირთმა

გასუფთავებულ, გარეცხილ ქათამს დაასხით წყალი და დადგით მოსახარშად. ადუღებამდე მოხადეთ ქაფი. როცა ქათამი მოიხარშება, ამოიღეთ თეფშზე და მოაყარეთ მარილი. ქათმის ბულიონს მოხადეთ სიმსუქნე. ჩაასხით ქვაბში, ჩაუმატეთ 4—5 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და კარგად მოშუშეთ. ერთ ჩაის ჭიქა ბულიონში და ორ სუფრის კოვზ ძმარში გახსენით 1—2 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, დაასხით მოხრაკულ ხახვს და დაუმატეთ ქათმის ნახარში წვენი (7—8 ჩაის ჭიქა). დუღილის დროს ჩაუმატეთ 3 ძირი ქინძი. ორმოცი-ორმოცდაათი წუთის დუღილის შემდეგ ამოიღეთ ქინძი და გადააგდეთ, წვენს კი მიუმატეთ დანაყილი დარიჩინი, შავი პილპილი — გემოვნებით, 5—6 წვეთი ზაფრანის ნაყენი და ხარშეთ კიდევ ათი წუთი. შემდეგ გადმოიღეთ ცეცხლიდან და შიგ თანდათან ჩაუშვით ცოტაოდენ ძმარსა და წვენში გათქვეფილი 2—3 ცალი უმი კვერცხი მთლიანად ან მარტო გული. ჩიხირთმა შეგიძლიათ ლიმონის მჟავითაც შეაზავოთ. როცა კერძი მზად იქნება, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი.

მოხარშული ქათამი დაჭერით და მოათავსეთ წვნიან მათლაფაში ან წვენთან ერთად ცალკე თეფშით მიიტანეთ სუფრაზე. თუ გნებავთ, მოხარშული ქათმისგან მეორე თავი კერძი მოამზადეთ.

## მაწვნის შეჭამადი

ნახევარლიტრ მაწონში ალესეთ 1 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, მერე თანდათან შეურიეთ 1 ჩაის ჭიქა წყალი და კარგად გათქვიფეთ. წვრილად დაჭერით 1 თავი ხახვი, ჩაყარეთ ქვაბში, უყავით 50 გრ კარაქი და შუშეთ ათი წუთის განმავლობაში. შემდეგ ჩაასხით გამზადებული მაწონი და თხუთმეტი წუთის განმავლობაში ადუღეთ, რის შემდეგ თანდათანობით ჩაუმატეთ გათქვეფილი კვერცხი და განუწყვეტლივ ურიეთ კვერცხის მოხარშვამდე. კვერცხი რომ მოიხარშება, ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგით.

მაწვნის შეჭამადი შეიძლება ბრინჯითაც მომზადდეს. ამ შემთხვევაში ხარშვის დროს ემატება 2—3 სუფრის კოვზი ბრინჯი, ხოლო მაწონის გასაზავებლად საჭიროა ნახევარი ლიტრი წყალი. მზა შეჭამადს თანდათანობით შეერევა შეგრილებულ წვენში გახსნილი კვერცხის გული.

## შილაფლავი

500 გრ მსუქანი ცხვრის ხორცი დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაფაროს და დადგით მოსახარშად. ადუღებამდე მოხადეთ ქაფი, ადუღდება თუ არა, ჩაყარეთ 1 თავი დაჭრილი ხახვი, დარჩეული, გარეცხილი 1 ჩაის ჭიქა ბრინჯი და ხარშეთ ორი საათის განმავლობაში. კერძის დამზადებამდე 5 წუთით ადრე ჩაუმატეთ დანაყილი პილპილი. მზა კერძი გადმოიღეთ ლანგარზე, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და სუფრაზე მიიტანეთ.

## თევზის ბასთურმა

500 გრ გასუფთავებული, გარეცხილი, ნაჭრებად დაჭრილი თევზი (თართი, ზუთხი, ორაგული) მოათავსეთ ფაიფურის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. მოაყარეთ მარილი, დანაყილი პილპილი. დაუმატეთ 2—3 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, თხელ ნაჭრებად დაჭრილი ნახევარი ლიმონი ან ნახევარი ჩაის კოვზი დაფქვილი კოწახური და აურიეთ. ჭურჭელს დაახურეთ თავი და რამდენიმე საათი ან ერთი დღე-ღამე დადგით გრილ ადგილას. მერე წამოაგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერცხალზე ტრიალით. შემწვარი თევზი სუფრაზე მიიტანეთ შამფურით, თან მიაყოლეთ წვრილად დაჭრილი უმი ხახვი და ლიმონი ან კოწახური.

## ბოზბაში

500 გრ ცხვრის ან ბატკნის ხორცი (უმჯობესია მკერდის ნაწილი) დაჭერით. ჩაყარეთ ქვაბში, დაუმატეთ 50 გრ დუმა (მთლიანი ნაჭერი), დაასხით რვა ჩაის ჭიქა ცივი წყალი და დადგით მოსახარშად. ადუღებამდე მოხადეთ ქაფი. 1—1,5 საათის დუღილის შემდეგ ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი 300 გრ ხახვი. წვენიდან ამოიღეთ მოხარშული დუმა და 100 გრ ქინძთან ერთად ძალიან წვრილად დაჭერით და მოათავსეთ მდუღარე წვენში, კერძის დამზადებამდე ათი წუთით ადრე უყავით დანაყილი პილპილი და მარილი გემოვნებით. ბოზბაში შეიძლება შეზავდეს მოხარშული და მერე საცერში გატარებული ტყემლით, შეგიძლიათ აგრეთვე დაუმატოთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა, პიტნა, ტარხუნა (გემოვნებით).

**თამარ სულაქველიძე.**

გარეკანზე პირველი ქართველი სპორტის ოსტატი ქალი ჭადრაკში

ნონა გაფრინდაშვილი.

ფოტო ი. ზევინის

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.

შეკვეთის № 1409. უე 00918.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".

Издательство ЦК КП Грузии.

# მოდები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს მოდელების სახლი

1. ანსამბლი შალის კაბისა და ჟაკეტისაგან. კაბა პერანგული ჭრილისა. შეიძლება ქამრითაც ატარონ. კაბის ზემოთ მოსაცმელი ჟაკეტი სწორი ფორმის. მიდგმული სახელოებით

ავტორი ლ. ავალიანი.

2. შალის კაბა მთლიანგამოჭრილი ზურგით. გვერდებზე მსუბუქი ნაკეცებით. ღრმად დახურული გული წინ ოდნავ ჩაჭრილია.

ავტორი ლ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი.

3. კაბა ტვილისაგან. ქვედატანი ნაჭრებიანი კლოში. წელში ოდნავ ნაოჭასხმული. ქვევით არშიამოვლებული. სახელოები მთლიანგამოჭრილი.

ავტორი თ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე.

4. შალის კაბა მთლიანგამოჭრილი. სახელოები გაწყობილია ქვერნის ბეწვით. სწორი ქვედატანი ვალანით.

ავტორი ა. რ უ ხ ა ძ ე.

**მხატვარი ლ ი დ ა ა ვ ა ლ ი ა ნ ი**



б-108/40

ეროვნული ბიბლიოთეკა